# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 12 თებერვალი 1998 №20 (555) ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

*მალტიდან მოსკოვისკენ მოვფრინავდით, თვითმფრინავში ნიკა ტოგონიძეს გამოველაპარაკე, ნაკრების მალტურ თამაშებზე ერთმანეთს აზრს ვუზიარებდით. ისე, მეგობრული დიალოგი გვქონდა, ტოგონიძემ სრული სერიოზულობით რომ მითხრა, ეს რაღაც ხვანაირი კაცია, ფეხბურთელებთან ისეთი დამოკიდებულება აქვს, გინდა არ გინდა, თუნდაც მარტო მისი ხათრით კარგად ითამაშებ, სათქმელს პირდაპირ გეტყვის, გულში არაფერს იტოვებს, ადამიანურად გვეპყრობაო. მიხვდებოდით, ვლადიმერ გუცაევს გულისხმობდა. მერე სხვა ფეხბურთელებმაც იგივე გაიმეორეს, ოღონდ არა გუცაევის გასაგონად, რომელიც ჩვენგან მოშორებით იჯდა. ფეხბურთელების ნათქვამმა მორიგი ინტერვიუს ხასიათზე მომიყვანა, თანაც საამისო მიზეზი, იცოცხლეთ, მქონდა, გუშინწინ გუცაევმა იმ მწვრთნელის სახელი დაიგდო, რომლის ხელმძღვანელობითაც ეროვნულმა ნაკრებმა პირველი, ვერცხლისფერი თასი მოიპოვა. ლაინერში საუბარი არ მოხერხდა, სალხმრავლობა გახლდათ, მაგრამ „ვნუკოვოს“ აეროპორტში უკვე დროც გვქონდა, სალისიც, სასაუბრო თემაც. იქვე მოსაცდელ დარბაზში ჩამოვსხედით და მალტაზე ჩატარებული „როტმანსის“ ტურნირის გარჩევა დავიწყეთ.*

# გუცაევის ახალი ფილოსოფია

## საქართველოს ნაკრებმა მალტის ტურნირი მოიგო

— ცუდი გავაკეთეთ მალტაზე რომ ვითამაშეთ? — კითხვა აქეთ დამისვა ვოვა გუცაევმა და განაგრძო — ვფიქრობ, ასეთი ტურნირები საჭირო კი არა, აუცილებელია. მალტაზე ჩემი ხელმძღვანელობით ნაკრები პირველად შეიკრიბა, სურვილი ამისრულდა — მალტაზე ყველა ლეგიონერი ჩამოვიდა. მართალია, არველაძეები პირველივე თამაშის შემდეგ გავათავისუფლეთ, ქინქლაძემ კბილის ოპერაცია გაიკეთა და მოგვიანებით შემოგვიერთდა, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ, მთავარი ის იყო, რომ ყველა ფეხბურთელმა გაიგო ჩვენი ამოცანები, მიზნები, კონტრაქტებზეც ვისაუბრეთ, თავიანთი აზრიც გამოთქვეს. საბოლოოდ შევთანხმდით — ძირითად-პრემიებს ფეხბურთელები მაშინ მიიღებენ, თუ ევროპის ჩემპიონატზე ვითამაშებთ. ტაქტიკაზეც საკმაოდ ვისაუბრეთ, თამაშებისას რამდენიმე ვარიანტიც დავამუშავეთ, ზოგჯერ კარგად, ზოგჯერ ავად, 4-4-2-ით ვითამაშეთ, 4-5-1-თაც, რამაც საბოლოოდ დამარწმუნა, რომ აუცილებელია, საქართველოს ნაკრებმა ორი წმინდა, გამოკვეთილი თავდამსხმელით ითამაშოს. მოკლედ, ეს ტურნირი ძალიან წაგვადგა. იმას მნიშვნელობა არა აქვს, მალტა თამაშობდა, თუ ლატვია, დღეს ვერავისთან გაისერნებ, თავად ნახეთ, როგორი წინააღმდეგობაც გაგვიწიეს. ყველა მეტოქესთან სრული მობილიზაცია გვმართებს. რა თქმა უნდა, სხვა გუნდებთან შედარებით ჩვენ უფრო ძლიერები ვართ, მაგრამ ნებისმიერი თამაში ჩვენთვის გაკვეთილი გახლდათ.

**— თანაჯგუფელებმა — ალბანეთმა და ლატვიამ როგორი შთაბეჭდილება დატოვეს?**

— სხვათა შორის, ალბანეთის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივანს ვესაუბრე, კალენდარზე გვინდოდა შევთანხმებულიყავით და ლაპარაკში შემადგენლობის ამბავიც ვკითხე. მითხრა, მალტაზე რვა ფეხბურთელი ჩამოვიყვანეთ, რომლებმაც თურქებს შავი დღე აყარესო. ლატვიამ კი პირიქით, ძირითადიდან ათი ფეხბურთელი არ გამოიძახა. რაც შეეხება მეტოქეთა თამაშზე ჩემს შთაბეჭდილებას, ბევრს ვერაფერს გეტყვით, უეჭველია, ორივემ დამალა რაღაც-რაღაცეები. მათი სერიოზულად შეფასება ამ ტურნირის მიხედვით არ შეიძლება. თანაც ვინც ითამაშა, ისინიც არ იყვნენ ჩვეულ ფორმაში. მათ ჯერ ჩემპიონატები არ განუახლებიათ. ისე, ამბიციები დიდი ჰქონდათ, ალბანელები ცხვირაზზუებულები გამოვიდნენ ჩვენთან შესახვედრად, საკადრისიც მიიღეს. რატომღაც მგონია, ალბანეთი კიდევ მოუმატებს, თურქეთს შემთხვევით ვერ მოუგებდა სამბურთიანი სხვაობით. თუნდაც ის გაიხსენეთ, გერმანელებს როგორ ანერვიულებენ-ხოლმე. ლატვიაზეც იგივეს ვიტყვი, ბალტიისპირელებს დიდი რეზერვი აქვთ, ალბათ, ძოძუაშვილიც საკადრისად გამოიყენებს და შესარჩევებისთვის გაცილებით უკეთ მოემზადებიან. კმაყოფილი მხოლოდ იმით ვარ, რომ მეტოქეთა თამაშის სტილზე შემექმნა წარმოდგენა, რაც უნდა მოხდეს, სტილი სტილია, ამას ნამდვილად ველარ შეცვლიან.

**— მალტელებთან მატჩის შემდეგ ნორვეგიელ მზვერავს ვესაუბრე. მითხრა, საქართველოს ნაკრები მნიშვნელოვნად შეიცვალა ახალი მწვრთნელის ხელშიო. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— აბა, რა გითხრათ. ძნელია, კონკრეტულად თქვა, შეიცვალა თუ არა ნაკრების თამაში, სულ ხუთი დღე დავყავით ერთად, ძირითადად ფსიქოლოგიური მომზადებით ვიყავით დაკავებული. ბიჭებს ვუთხარი, როცა ნაკრებში სათამაშოდ მოდიხართ, სრული მზადყოფნა გჭირდებათ, ასპროცენტიანი, სხვაგვარად არაფერი გამოვა-მეთქი. იცით, ქართველების ძირითადი კოზირი ტექნიკა და იმპროვიზაციაა, ისიც იცით, მე სხვა ფეხბურთის მიმდევარი ვარ, ვცდილობ, ეს დანერგილი ქართული სტილი რამენაირად შევცვალო. დღევანდელი ფეხბურთი კოლექტიურ პრესინგზე, ბრძოლისუნარიანობაზეა აგებული, საამისოდ უამრავი სამუშაოა ჩასატარებელი. იმ ნორვეგიელმაც, ალბათ, ეგ იგულისხმა, რაც ხუთ დღეში მოვასწარით.

**— ფსიქოლოგიური მომზადება ახსენეთ, თანაშემწედ ფსიქოლოგის აყვანას არ აპირებთ?**

— არა, არ არის საჭირო. ჩემი აზრით, გუნდში შექმნილი სიტუაცია უნდა იყოს თავისებური ფსიქოლოგი. ჩვენ ახლა კარგი მოტივაცია გვაქვს, რომ ამაღლდეს ფეხბურთელთა ფსიქოლოგიური მომზადების დონე. პირველ რიგში თანაჯგუფელი გუნდების ავტორიტეტს ვგულისხმობ. კი, ძლიერი გუნდებია ნორვეგია, საბერძნეთი, სხვები, მაგრამ რეალურად შეგვიძლია პირველობის მიღწევა. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უნდა გამოვიყენოთ ეს მომენტი. ამაზე ლაპარაკია ყოველთვის საჭირო, პატრიოტიზმზე, მაშინ ფეხბურთელებსაც რაღაცის რწმენა ექნებათ.



ვლადიმერ გუცაევი და გიორგი ნემსაძე: ახალი მწვრთნელის და კაპიტნის პირველი მონაგარი

**— მალტაზე პირველად შეკრიბეთ ნაკრების კანდიდატები. მათთან ურთიერთობისას რაიმე პრობლემა ხომ არ შეგექმნათ?**

— უპრობლემოდ არაფერი არსებობს. დიდი თუ მცირე წინააღმდეგობა ყველა საქმეს ახლავს თან, მაგრამ ძირითადად ყველაფერი კარგადაა. ერთმანეთს გავუგეთ, განწყობა სასიამოვნოა. ფეხბურთელები უჩემოდაც იკრიბებოდნენ და ერთურთს ეუბნებოდნენ, ჩვენ საქართველოს ღირსება უნდა დავიცვათ, ქართველები გამარჯვებებს ელიანო. ერთსულოვანი, მშვენიერი კოლექტივი ჩამოყალიბდა, ესენი უკვე პროფესიონალები არიან და ესმით, რას ნიშნავს ეროვნული გუნდი. მაგალითად, მალტელებთან თამაშის წინ შექმნილ აზრს მოგახსენებთ. ხომ შეიძლებოდა, მალტა — ლატვია ფრედ დასრულებულიყო, მაშინ ჩვენ მასპინძლებთან თამაშის მიუხედავად ამ ტურნირის გამარჯვებულები ვიქნებოდით, მაგრამ ბიჭები სხვაგვარად ფიქრობდნენ — ყველანაირი შედეგის მიუხედავად, მალტელებთან მაინც მოგება ეწადათ. კლუბში რომ გამარჯვებული დაბრუნდებით, ავტორიტეტი აგიმაღლდებათ, ამაყად ჩახვალთ-მეთქი ვეუბნებოდი და თავადაც შეიგნეს, არ მოინდომეს პრესტიჟის დაკარგვა, შედეგიც სახეზეა.

**— ძირითადი ბირთვი უკვე შეკრებილია?**

— ბირთვი დამხვდა. სამოცდაათი პროცენტი ის ფეხბურთელები არიან, რომლებიც ჩივაძისა და ყიფიანის დროს თამაშობდნენ. მე რამდენიმე ახალგაზრდა მოვიწვიე — გვარამაძე, სილაგაძე... ვოვა გუცაევი ყველა მწვრთნელის აზრს პატივს სცემს, თავადაც თავისებური შეხედულება აქვს ფეხბურთელებზე, რომელიც ტაქტიკურ სქემასა და ფსიქოლოგიურ მომზადებაში გამოიხატება. ამ ორი საფეხბურთო კომპონენტის ჩემებურად შეცვლა მომიხდება. რა თქმა უნდა, სასიკეთოდ შეცვლას ვგულისხმობ, თორემ ცუდი ვის რაში არგია.

**— მალტაზე დაცვა ცუდად თამაშობდა...**

— მართალია, ყველაზე სუსტად მცველებმა ითამაშეს. ძალიან დიდი სურვილი მაქვს, მოვძებნო ერთი ლიბერო, რომელიც უკან თამაშისა და საიმედოობის გარდა ბურთსაც ხეირიანად ამოიტანს ჩვენი საჯარიმოდან. ჯერჯერობით კი უკნიდან ბურთი ვერანაირად ვერ ამოგვაქვს, არ არიან იმ კლასის ფეხბურთელები, რომლებიც ამას შეძლებენ, შეტევას მიმართულებას მისცემენ. დიდი გუნდების ისტორიას რომ გადავხედოთ, ლიბეროდ ყველგან უდიდესი ფეხბურთელი თამაშობდა — მური, შირეა, ბეკენბაუერი, ჩივაძე. ეს ისეთი პოზიციაა, სადაც თამაშისთვის დიდი ჭკუაა საჭირო, უკანა მცველის სიმშვიდე და გონიერება მთელ გუნდს უნდა გადაედოს. ამ ტურნირმაც ეს დაამტკიცა. მოსაძებნია ასეთი ფეხბურთელი. ისე, არც დაცვის მარცხენა ფლანგზე გვაქვს დალხენილად საქმე. კალაძე ჯერ გამოუცდელია, თუმცა, მასზე ხელის ჩაქნევას სულაც არ ვაპირებთ. აი, კობიაშვილი თუ გამოჯანმრთელდა, მაშინ ეს პრობლემა მოგვეხსნება. მოკლედ, სამუშაო უამრავი გვაქვს, სექტემბრისთვის, ალბათ, შესარჩევი თამაშები მოგვიწევს, აქამდე ბევრი რამ უნდა მოგვარდეს.

ძოზა ინასარიძე, ლა ვალეტა — თბილისი

# ქართული კვალი

ელგუჯა ბერიშვილი

ნაგანოდან



როგორც იქნა, სათხილამურეთა ჯერიც დადგა: 10 თებერვალს სტარტზე დადგნენ კომბინაციის პირველი სახეობის, სლალომის მონაწილენი. მართალია, ნაგანოს მთებში იმ დღესაც ხვავრიელად თოვდა და, წესით, შეჯიბრება კვლავ უნდა გადადებულიყო, მაგრამ, თურმე, ორგანიზატორებმა სათადარიგო დროის ლიმიტი მთლიანად ამოწურეს და მეტის მოცდა უკვე აღარ შეიძლებოდა. თოვისა და იმის გამოც, რომ ტრასა ერთობ რთული და ციცაბო იყო, პირველივე ცდაზე შეჯიბრებას ცხრა სპორტსმენი გამოაკლდა, ორი ცდის ჯამში კი ბრძოლის გაგრძელების უფლება 39-დან მხოლოდ ოცმა მოიპოვა. ჩვენდა სასიხარულოდ, იღბლიანთა შორის აღმოჩნდა ზურაბ ჯიჯიშვილი, რომელსაც 34-ე სასტარტო ნომერი ერგო: „ასეთი სირთულის ტრასა ევროპაში თითქმის არსად არის. ძალიან დახრილია, საფარი მოყინულია, თანაც ისე წამოთოვა, კარის გარჩევა ჭირდა. ამ დროს, შეიძლება, რისკი ძვირად დაგიჯდეს და „ზედმეტ“ წამს თუ გამოეკიდე, საერთოდ უადგილოდ დარჩე. მეც ჩვეულებრივზე ფრთხილად წამოვედი... მეორე ცდაზეც იგივე გავაკეთე“.

1.55,26 ორი ცდის ჯამში და მე-19 ადგილი სლალომის შემდეგ — ასეთი შედეგით დაასრულა ჯიჯიშვილმა თავისი მეორე ოლიმპიური თამაშების პირველი დღე. მაგრამ ეს მხოლოდ გზის ნახევარია, წინ არის დაშვება, რომელიც კომბინაციის მონაწილეს თავის საბოლოო ადგილს მიუჩენს.

— თუ საქმე კარგად წაგვივიდა, შესაძლოა, ზურამ კიდევ ერთი საფეხურით წაიწიოს — გვითხრა გერა აბრამიშვილმა, — დაშვება მისი ძირითადი სახეობაა. ოლიმპიადაზე, მოგეხსენებათ, იოლი ტრასა არ არსებობს. დაშვებისას ოთხი ტრამპლინია გასავლელი და ჯამში ორასამდე მეტრი უნდა იფრინო, რაც ხუმრობა არ არის. ზურამ, როგორც იცით, იავადმყოფა და აქ, ნაგანოში რამდენიმე ვარჯიში გამოტოვა. ამის მიუხედავად, იმედი მაქვს, ყველაფერი რიგზე იქნება.

იძულებითი ხანგრძლივი შესვენების შემდეგ გუშინ პირველად დადგა თხილამურებზე სოფო ახმეტელი, რომელსაც სტარტამდე კიდევ ერთი კვირა აქვს. ამასობაში თავის პირველ სახეობაში — 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში იასპარეზა კახა წაქაძემ. მან პირველ ცდაზე ზუსტად 69 მეტრი იფრინა (66,5 ქულა), ფინალში ვერ მოხვდა და საბოლოოდ 55-ე ადგილი დაიკავა...



სამთომოთხილამურეთა კომბინაციის პირველი სახეობის — სლალომის მერე ავსტრიელი მარიო რაიტერი ლიდერობს

# ორგზის მედროშე შიმიცუ

ხაროპს იაპონია. „ემ-უეივ არენაზე“ შეკრებილმა 10 ათასმა ქომაგმა მექსიკური ტალღები მოაწყო, მათი რჩეული ბიჭი, 23 წლის მოციგურავე ჰიროიასი შიმიცუ სტარტზე რომ გამოვიდა.

შიმიცუ ტანად სულ რაღაც 161 სანტიმეტრია, მაგრამ ერთბაშად ოთხი ზორბა კანადელი მოიტოვა. ჯეელს ოლიმპიადის გახსნაზე იაპონიის დროშა ამაყად მოქონდა, ხოლო ჩემპიონი რომ გახდა, ჯერ იტირა, მერე კი ალამი გაშალა და ასპარეზს ტრიუმფალური წრე შემოუარა. ეროვნულ გმირს ტახტის მემკიდრე, უფლისწული ნარუჰიტო სალუტით იქვე შეეგება, პრემიერ-მინისტრმა რიუტარო ჰაშიმოტომ კი ტელეფონით დაურეკა და ქვეყნის სასახელო გამარჯვებაც მიულოცა.

ირაკლი ნინუა



ჰიროიასუ შიმიცუ

# ოლიმპიური ჩემპიონი მარიხუანას მწეველი ყოფილა

**სნოუბორდი**

ეს სნოუბორდი რა ყოფილა! თეთრი ოლიმპიადის კარი შეუღეს და ისიც შევარდა თავისი ქუჩურ-თავზეხელაღებული ჟრიამულით. შევარდა და გოგო-ბიჭების გულიც მოინადირა. ეს სნოუბორდი რა ლაღი რამ ყოფილაო, ყველა ასე ამბობდა. კვირას პირველი სნოუბორდული ოქროც გათამაშდა სლალომში და იგი კანადელმა როს რებალიატიმ მოიგო. გამოცხადდა: რებალიატი სნოუბორდის მსოფლიო ელჩი გახდება, მისი სახელი სამუდამოდ ჩაიბეჭდა ოლიმპიადის ისტორიაშიო.

პირველისა რა ვთქვათ, რებალიატის სახელი კი მართლაც აღარ დაიფარება დავიწყების მტვრით. გუშინწინდელმა ტესტირებამ მას სისხლში მარიხუანას კვალი აღმოუჩინა. ოლიმპიური კომიტეტის მთავარმა ექიმმა ფრანსუა კარარმა ბარე ერთ საათს ილაპარაკა ამ შემთხვევის გამო. საექიმო კომიტეტს გვარიანი სჯა-ბაასი გაუმართავს ამ საკითხის გამო და ხმათა მინიმალური უმრავლესობით, 13-12, რეკომენდაცია გამოუცხვია, კანადელს მედალი ჩამოერთვასო. პასუხისმგებელმა საბჭომ, რომელშიც ხუთი ავტორიტეტი შედის, მხარი დაუჭირა რეკომენდაციას, 3-2, თუმცა ჯერ ოფიციალური გადაწყვეტილება არ გამოუქვეყნებია. ბობოქრობს კანადის დელეგაცია, რომელიც აცხადებს, რომ ათი თვეა, რაც რებალიატი მარიხუანას არ გაკარებია და თუკი მის ორგანიზმში მარიხუანას კვალია, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაცის გამონასუნთქი შეისუნთქა დახურულ სივრცეში.

სნოუბორდელები თავს არ დებენ ჯანსაღ სპორტსმენობაზე. ისინი ზამთრის „ცუდი ბიჭები" არიან და მარიხუანას წევა დიდ სირცხვილად არც კი უჩანთ, არც 26 წლის რებალიატია გამონაკლისი.

იაპონელებს კი თავიანთი საზრუნავი აქვთ. ნაგანოს პოლიციამ ჩემპიონის დაკითხვა გადაწყვიტა, რახან იაპონიაში თრიაქის ყოველი მწეველი სისხლის სამართლის დამნაშავეა, აქ ქეშებს ქათმებსავით იჭერენ. თავის დროზე ტოკიოში პოლ მაკარტნიც კი დაიჭირეს, დიეგო მარადონას და მიკ ჯაგერს კი ქვეყანაში შესასვლელი ვიზაც კი არ მისცეს, აქაოდა, ზნეობას წაგვიმურდლავენო. ამასობაში კი გამოჩნდა ვექილი ჰიდეჰირო მარუი, რომელიც ოცდაორი წელიწადია ქეშებს იცავს და კანადელები დაამშვიდა, რაც რამ უბედურება გვჭირს, სულ ამერიკელებისგან, ანტიმწეველთა კანონი მათი გავლენით მიიღეს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, თორემ იაპონია ყოველთვის ქეშების ქვეყანა იყო. თრიაქი ოცდაათი საუკუნეა ჩვენს ეროვნულ კულტურას წარმოადგენს. ასე რომ, თუ გაგიჭირდეთ, მე მომმართეთო.



ქეში რებალაიტი

**გიორგი ქიქნაძე**

# პიკაბო, ამერიკელი ნათია

**მთის თხილამურობა**

ეს გამარჯვება ნაღდად გმირობის ტოლფასი იყო. არა იმიტომ, რომ 27 წლის ამერიკელი გოგო პიკაბო სტრიტი პირველად გახდა ოლიმპიური ჩემპიონი და თავის დიად ქვეყანას პირველი ოქრო შესძინა, არამედ უფრო იმიტომ, რომ ამ ათი დღის წინ მოთხილამურემ კინაღამ სული განუტევა: ორეში (შვედეთი) მსოფლიო თასის პროგრამით დაშვებისას სლიპინა ტრასაზე დაეცა და ვიდრე გარეშენი მიეშველებოდნენ, ორი წუთი უგონოდ ეგდო.

პიკაბო, მავანი ინდიელთა ტომის ენაზე ჩვენებური ნათიას სინონიმი რომაა, ბედად იოლად გადარჩა: ცოტა დაიჟეჟა, ცოტა ტვინიც შეერყა, მაგრამ ჰოსპიტალიდან გამოსული შინ გაფრინდა და იქ იმდენი სულიერი ძალა მოიკრიბა, რომ მარცხის შემდგომი პირველივე სტარტი მოიგო.

**ნაგანოში** მთად მოთხილამურეებს უამინდობა დაებედათ. ყოველდღე ისე თოვს, რომ ზამთრის ოლიმპიადის თვალმარგალიტი სახეობა შეჯიბრთა ამდენი გადადებით აშკარად დაიჩრდილა. სულ ბოლო მონაცემებით ქალთა სუპერ-გიგანტი სამშაბათს უნდა გამართულიყო, მაგრამ მისი გამართვა გუშინღა მოხერხდა. ამის გამო კიდევ აირია ვაჟთა ასპარეზობის განრიგი და ისე გამოვიდა, რომ ბობოლა მოთხილამურეებს დღეს 4 საათის ინტერვალით ორჯერ მოუწევთ დაშვება: ჯერ სტარტთა-სტარტი, საჩემპიონო დაშვება გაიმართება, მერე კი კომბინაციაში შემავალიც.

პიკაბოსა და მის მეტოქეებს დავუბრუნდეთ. ფავორიტიები, რაღა თქმა უნდა, უნივერსალი გერმანელები იყვნენ. მათი ჯილა კატია ზაიცინგერი მსოფლიო თასს ორივე ჩქაროსნულ დისციპლინაში და საზოგადოდაც ლიდერობს. კატიამ სეზონის სტარტზე ზედიზედ ექვს შეჯიბრში გაიმარჯვა, ექვსი სუპერ-გიგანტიდან კი ოთხი მოიგო, მათ შორის ოლიმპიადის წინაც — 24 იანვარს, კორტინაში (იტალია).

„ფრიცებს" გამარჯვება არ ეწერათ. სტრიტს სასტარტო ნომრად „2" ქონდა და სუფთა ტრასა იდეალურად გამოიყენა — მეორე ადგილზე გასულ დორფმაისტერს უმცირესი სხვაობით, ერთი კინკილა მეასედით აჯობა. ამით ოთხი წლის წინ ლილეჰამერში (ნორვეგია) დაშვებაში მოპოვებულ ვერცხლს ახლა ნაგანოური ოქრო შემატა, თუმცკი ჩემპიონობა მისთვის უცხო ხილი სულაც არაა — შარშანწინ სიერა-ნევადას (ესპანეთი) მსოფლიო პირველობაზე დაშვება მოიგო და მსოფლიო თასის ეტაპებზეც 9 გამარჯვება მოუპოვებია.





ამერიკელმა სტრიტმა პროგნოზები თავდაყირა დააყენა

# საგლახაო

კომბინაცია იმათი საქმეა, ვინაც სპეციალიზაციაში მოიკოჭლებს: თუ ვერც სიჩაუქეში უქნიხარ ღმერთს და ვერც მოხერხებაში, ადე, ჩაეწერე კომბინაციაში, მთის თხილამურობის სპექტრის ორი კონტრასტული სახეობის — სლალომისა და დაშვების ჯამი რომაა. ვინიცობაა მედალს გამოკრა ხელი!

ნორვეგიელი ლასე ხიუსი უთუოდ ასე ფიქრობს. აკი უნივერსალობის წყალობით მცირ-მცირე ნადირს მარჯვედ ხოცავს და მსოფლიო თასზე ქულებსაც საკმაოდ იხვეჭს. ლილეჰამერში კომბინაციის ჩემპიონიც გახდა, მაგრამ აი, ჩამთავრდა ნაგანოს კომბინაციისეული სლალომი და ავსტრიელ მარიო რაიტერთან 1,8 წამს აგებს.

რაიტერი უფრო მესლალომეა, ხიუსი — დამშვები. პირველს იმედი აქვს, რომ დაშვების შემდეგ გვარიანი ფორის წყალობით მაინც პირველ ადგილზე დარჩება, მეორეს კი ჩამორჩენის აღმოფხვრა და ლიდერის ჯობნა ეიმედება.

თუ ხიუსისა და რაიტერის სტრატეგია ნათელია. ცოტა არ იყოს გაუკვეთარია, რა ესაქმებოდა კომბინაციაში ავსტრიელსავე „ჰერმინატორ" ჰერმან მაიერს, ვინაც კიდევ სამ სახეობაში აპირებს ასპარეზობას და ყველაში ფავორიტად მიიჩნევა. ჰერმანმა ამ სეზონში მსოფლიო ასზე ათი ეტაპი მოიგო და ქულებითაც გვარიანადაა წინ, მაგრამ მეტისმეტი მოუნდა, ოლიმპიურ კომბინაციაშიც ცადა ძალა და რაიტერთან ჯერეჯერობით 4 წამს აგებს.

**ირაკლი ნინუა**

კომბინაციის სლალომი
10 თებერვალი

1. მარიო რაიტერი (ავსტრია) 1 წთ. 31,85 წმ; 2. ლასე ხიუსი (ნორვეგია) 1.33,66; 3. ანჯეი ბახლედა (პოლონეთი) . 34,49; 4. კრისტიან მაიერი (ავსტრია) .35,05; 5. ხეტილ-ანდრე ომოდტი (ნორვეგია) ,26; 6. გიუნთერ მადერი (ავსტრია) ,36; 7. ფინ-კრისტიან იაგე (ნორვეგია) ,38; 8. ჰერმან მაიერი (ავსტრია) ,90; 9. მარსელ მახა (ჩეხეთი) .36,17; 10. კრისტიან გედინა (იტალია) .40,35; ... 20. **ზურაბ ჯიჯიშვილი** (საქართველო) 1.55,26; 21 (ბოლო). პაულ (პოლ) შვარცახერჯოისი (ირლანდია) 1.56,22

*ამათ გარდა, შეჯიბრში კიდევ 17 მოთხილამურე ჩაება, მაგრამ სლალომი ვერ დაამთავრა*

## ქვარცხლბეკი

### მედალოსნები და სხვებიც

**მთის თხილამურობა**

ქალები. სუპერ-გიგანტი. 11 თებერვალი

1. პიკაბო სტრიტი (აშშ)
2. მიხაელა დორფმაისტერი (ავსტრია) ჩამორჩა 0,01 წამით
3. ალექსანდრა მაისნიცერი (ავსტრია) ,07
4. რეგინა ჰოიზლი (გერმანია) ,25; 5. რენატე გეწლი (ავსტრია) ,30; 6. კატია ზაიცინგერი (გერმანია) ,42; 7. მარტინა ერტლი (გერმანია) ,44; 8. მელანი სიუშე (საფრანგეთი) ,49; 9. შტეფანი შუსტერი (ავსტრია) ,51; 10. ჰილდე გერგი (გერმანია) ,57; 11. იზოლდე კოსტნერი (იტალია) ,60; 12. ვარვარა ზელენსკაია (რუსეთი) ,70; 13. სვეტლანა გლადიშევა (რუსეთი) ,80; 14-15. კაროლ მონტიე (საფრანგეთი) და პერნილა ვიბერგი (შვედეთი) ,86

**ფიგურული სრიალი**

წყვილები. 8-10 თებერვალი

1. ოქსანა კაზაკოვა და არტურ დმიტრიევი (რუსეთი) 1,5 ქულა
2. ელენა ბერეჟნაია და ანტონ სიხარულიძე (რუსეთი) 3,5
3. მენდი ვეტცელი და ინგო შტოიერი (გერმანია) 4,0
4. კიოკო ინა და ჯეისონ დანჯენი (აშშ) 6,0; 5. შენ სუ და ჟაო ჰონგბო (ჩინეთი) 9,0; 6. სარა აბიტბოლი და სტეფან ბერნადი (საფრანგეთი) 9,5; 7. მარინა ელცოვა და ანდრეი ბუშკოვი (რუსეთი) 9,5; 8. ჯენი მენო და ტოდ სენდი (აშშ) 12,0; 9. პეგი შვარცი და მირკო მიულერი (გერმანია) 12,5; 10. დოროტა ზაგორსკა და მარიუშ სიუდეკი (პოლონეთი) 16,0

**სნოუბორდი**

ქალთა სლალომი. 10 თებერვალი

1. კარინ რიუბი (საფრანგეთი) 2 წთ. 17,34 წმ (I ცდა 1.09,33 - II ცდა 1.08,01)
2. ჰაიდი რენოთი (გერმანია) 2.19,17 (1.11,92 - 1.07,25)
3. ბრიგიტ კეკი (ავსტრია) 2.19,42 (1.13,01 - 1.06,41)
4. ლიდია ტრეტელი (იტალია) 2.19,71; 5. ურსულა ფინგერლოსი (ავსტრია) .20,36; 6. მარიონ პოში (იტალია) .21,34; 7. დაგმარ მაირ უნტერ დერ ეგენი (იტალია) .22,42; 8. იზაბელ ცედლახერი (ავსტრია) .22,92; 9. სანდრა ფარმანდი (გერმანია) .23,10; 10. მარი ბირკლი (შვედეთი) .23,91

**ფრისტაილი**

მოგული. 11 თებერვალი.

ვაჟთა ფინალი

1. ჯონი მოუზლი (აშშ) 26,93 ქულა
2. იანე ლაპტელა (ფინეთი) 26,00
3. სამი მუსტონენი (ფინეთი) 25,76
4. ჟან-ლიუკ ბრასარი (კანადა) 25,52; 5. ლაური ლასილა (ფინეთი) ,43; 6. იესპერ რონბაკი (შვედეთი) ,32; 7. რაიან ჯონსონი (კანადა) ,25; 8. სტეფან როშონი (კანადა) ,01; 9. კურე ლანსბურგი (შვედეთი) 24,71; 10. ალექზანდერ უილსონი (აშშ) ,68

ქალთა ფინალი

1. ტაე სატოია (იაპონია) 25,06 ქულა
2. ტატიანა მიტერმაიერი (გერმანია) 24,62
3. კარი ტრო (ნორვეგია) 24,09

**ციგურაობა**

ვაჟები. 500 მ. 9-10 თებერვალი

1. ჰიროიასუ შიმიცუ (იაპონია) 71,35 წმ (I გარბენი 35,76 - II გარბენი 35,59)
2. ჯერემი უოთერსპუნი (კანადა) 71,84 (36,04 - 35,80)
3. კევინ ოვერლანდი (კანადა) 71,86 (35,78 - 36,08)
4. სილვენ ბუშარი (კანადა) 72,00; 5. პატრიკ ბუშარი (კანადა) ,05; 6. კეისი ფიტსრენდოლფი (აშშ) ,20; 7. კიმ იუნ-მანი (კორეა) ,36; 8. ლი კიუ-ჰიუკი (კორეა) ,55; 9. ერმანო იორიატი (იტალია) ,66; 10. როგერ სტრომი (ნორვეგია) ,68

**ბარის თხილამურობა**

ქალები. 5 კმ კლასიკური სტილით. 10 თებერვალი

1. ლარისა დაზუტინა (რუსეთი) 17 წთ. 37,9 წმ
2. კატერინა ნოიმანოვა (ჩეხეთი) ჩამორჩა 4,8-ით
3. ბენტე მარტინსენი (ნორვეგია) 11,5
4. ნინა გავრილიუკი (რუსეთი) 12,4; 5. ოლგა დანილოვა (რუსეთი) 13,4; 6. მარიტ მიკელსპლასი (ნორვეგია) 15,6; 7. ანიტა მოენ-გუიდონი (ნორვეგია) 26,5; 8. ტრიუდე დიუბენდალ-ჰარტცი (ნორვეგია) 30,1; 9. გაბრიელა პარუცი (იტალია) 36,8; 10. ბრიგიტ ალბრეხტი (შვეიცარია) 38,6

**ხტომა**

საშუალო ტრამპლინი. 11 თებერვალი

1. იანი სოინინენი (ფინეთი) 234,5 ქულა (I ნახტომი 118,5 ქულა - 90,0 მ; I ნახტომი 116,0 - 89,0)
2. კაცუიოში ფუნაკი (იაპონია) 233,5 (114,0 - 87,5; 119,5 - 90,5)
3. ანდრეას ვიდჰოლცი (ავსტრია) 232,5 (114,5 - 88,0; 118,0 - 90,5)
4. იანე აჰონენი (ფინეთი) 231,5; 5. მასაჰიკო ჰარადა (იაპონია) 228,5; 6. პრიმოჟ პეტერკა (სლოვენია) 223,0; 7. ნორიაკი კასაი (იაპონია) 221,5; 8. კრისტიან ბრენდენი (ნორვეგია) 215,5; 9. ჰიროია საიტო (იაპონია) 213,5; 10. შტეფან ჰორნგახერი (ავსტრია) 212,5; ... 55 (62 მონაწილიდან). **კახაბერ წაქაძე** (საქართველო) 66,5 ქულა (69,0 მ)

**ციგაობა**

ქალები. ერთადგილა. 10-11 თებერვალი

1. სილკე კრაუსჰაარი (გერმანია) 3 წთ. 23,779 წმ
2. ბარბარა ნიდერნჰუბერი (გერმანია) ჩამორჩა 0,002 წმ-ით
3. ანგელიკა ნოინერი (ავსტრია) 0,474

**ბიათლონი**

ვაჟები. 20 კმ. 11 თებერვალი

1. ჰალვარდ ჰანევოლდი (ნორვეგია) 56 წთ. 14,4 წმ (1 აცილება)
2. პიერ კარარა (იტალია) 56.21,9 (0)
3. ალექსეი აიდაროვი (ბელარუსი) 56.46,5 (1)
4. ივან მასარიკი (ჩეხეთი) 57.30,7 (1); 5. ილმარს ბრაცისი (ლატვია) 59.15,1 (3); 6. რიკო გროსი (გერმანია) .15,4 (1); 7. ოლე ბიერნდალენი (ნორვეგია) .16,8 (4); 8. პეტერ ზენდელი (გერმანია) .30,3 (1); 9. ოლეგ რიჟენკოვი .31,3 (2); 10. დაგ ბიერნდალენი (ნორვეგია) .34,7 (1)

## ქვეყნების მონაგარი

| | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო |
|---|---|---|---|
| გერმანია | 3 | 4 | 4 |
| რუსეთი | 3 | 2 | 0 |
| ფინეთი | 2 | 1 | 1 |
| იაპონია | 2 | 1 | 0 |
| აშშ | 2 | 0 | 0 |
| ნორვეგია | 1 | 1 | 3 |
| კანადა | 1 | 1 | 1 |
| ჰოლანდია | 1 | 1 | 0 |
| ბულგარეთი | 1 | 0 | 0 |
| საფრანგეთი | 1 | 0 | 0 |
| იტალია | 0 | 3 | 1 |
| ავსტრია | 0 | 1 | 4 |
| ჩეხეთი | 0 | 1 | 0 |
| უკრაინა | 0 | 1 | 0 |
| ბელარუსი | 0 | 0 | 1 |
| ბელგია | 0 | 0 | 1 |
| შვეიცარია | 0 | 0 | 1 |

შენიშვნა: რაკი კანადელთა პროტესტი დღეს განიხილება, ვაჟ მესნოუბორდელთა მედლები გადაუნაწილებელია

# ანტონი ისევ წაიქცა და ვერცხლს დასჯერდა

**ფიგურული სრიალი**

არტურ დმიტრიევი, რუსის ფიგურულად მოსრიალე ვაჟკაცი, მეორედ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი, ოღონდ ამ ჯერზე ახალ მეწყვილესთან, ოქსანა კაზაკოვასთან ერთად. ფიგურული სრიალის საბოლოოდ გასრულებული პროგრამა, ამ ჯერზე თავისუფალი, რუსულმა წყვილმა ყველაზე დამაჯერებლად და ლაღად განვლო. რუსმა მწვრთნელებმა თქვეს, დმიტრიევზე მშვიდი და ვაჟკაცი კაცი ჩვენს გუნდში არ მოიძებნებაო. ასე რომ არ იყოს, ოლიმპიური ჩემპიონი სხვა რუსული წყვილი იქნებოდა — ანტონ სიხარულიძე და ელენა ბერეჟნაია, რომელნიც საბოლოოდ ვერცხლს დასჯერდნენ. ბერეჟნაია ორი წლის წინანდელი შოკისმომგვრელი ტრავმის შემდეგ საუცხოოდ სრიალებდა, მისი და სიხარულიძის პროგრამა შემცველობით სჯობდა დმიტრიევ-კაზაკოვასას და შესრულებითაც უფრო სუფთად სრულდებოდა, მაგრამ ბედი არ გინდა? ზედ თავისუფალი პროგრამის მიწურულს სიხარულიძე ამ ოლიმპიადაზე უკვე მეორედ გაიშხლართა ყინულზე და ქალიც ზედ წამოიმხო. ეს რომ არ ყოფილიყო, ახალგაზრდები ოქროს მომგებები იყვნენ.



დაცემა, ძმაო, აი ეს იყო, თუ იყო!

„სულელურად წავიქეცი, განგებამ დამსაჯა" — ნანობდა სიხარულიძე.

დმიტრიევი კი მედიის გუნდს ელაყბებოდა, უნერვებო კაცი ვარ და ამან გვიშველა, ოქსანას ყოველ მოძრაობას მთელის სისრულით შევიგრძნობ და წარმატების საფუძველიც ამაში ძევსო.

ოქროსა და ვერცხლის მომგებებს ერთი მწვრთნელი, ტამარა მოსკვინა ჰყავთ. მისი თქმით, დმიტრიევ-კაზაკოვა თავისებურად უნიკალური წყვილია, რადგან სულ სამი წელიწადია, რაც არსებობს და ოლიმპზე ასვლა მოახერხა.

ბრინჯაო გერმანულმა წყვილმა მენდი ვეტცელ—ინგო შტოერმა მოიგო. თანამემამულე მსაჯმა ამ მსოფლიოს ჩემპიონებს სულ უმაღლესი შეფასებები დაუსვა, მაგრამ ეს ხომ არ გადასძალავდა დანარჩენ მსაჯთა აზრს? ოლიმპიური ოქრო იმათ ხვდათ წილად, ვინც უკეთ გაირჯა ყინულზე. 30 წლის ზორბა პეტერბურგელი არტურ დმიტრიევი მართლაც მოხდენილად დააქროლებდა ყინულზე თავის თითისტოლა ოქსანას, რომელიც მეწყვილეზე რვა წლით უმცროსი და 26 სანტიმეტრით დაბალია. ასე რომ, გერმანელებს შანსი არ ჰქონდათ მაშინაც კი, როცა ანტონ სიხარულიძე ყინულზე გაიშხლართა.

**ზურაბ კალატოზიშვილი**



ლარისა ლაზუტინა

# ამაყი ქალის ჯანყი და ტრიუმფი

**ბარის თხილამურობა**

რუსი ლარისა ლაზუტინა პირველი სპორტსმენია, ვინც ნაგანოს ოლიმპიადაზე ორი მედლის მოპოვება მოახერხა. სამშაბათს მან 15 კილომეტრზე თხილამურობაში მოპოვებულ ვერცხლს 5-კილომეტრიანი დისტანციის ოქრო მიუმატა. ასპარეზობას კარგა ხნის განმავლობაში ნორვეგიელი ბენტე მარტინსენი ლიდერობდა, ლაზუტინა კი საშუალედო ნიშნულებს მესამე შედეგით გადიოდა, მაგრამ 32 წლის რუსმა ტრასის ბოლო მესამედზე ძალზე მოუმატა და სკანდინაველს 11 წამით აჯობა, მერე მთავარი კონკურენტის, ჩეხი ნიუმანოვას შედეგს დაელოდა და ოლიმპიური ოქრო რომ გაინაღდა, კამერების წინ ცრემლად დაიღვარა — 1995 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ხუთი შესაძლებლიდან 4 ოქროს პატრონისთვის ეს პირველი ინდივიდუალური გამარჯვება აღმოჩნდა ოლიმპიადებზე. მეორე ადგილი 4,8 წამით ჩამორჩენილმა ნოიმანოვამ დაიკავა, ბრინჯაო კი მარტინსენს ხვდა წილად. შარშან ლაზუტინა, რომელიც ამ ბოლო ხანებში დიდი მიღწევებით ველარ დაიკვეხნიდა, რუსეთის თხილამურობის ფედერაციას აუჯანყდა და ულტიმატუმი წაუყენა, ან ინდივიდუალური ვარჯიშის საშუალება მომეცით, ან გუნდს დავტოვებო. მოკლედ, ლარისა ნაკრების უცვლელი მწვრთნელის ალექსანდრ გრუშინის დესპოტური ვარჯიშისგანაც გაათავისუფლეს და სახელმწიფო დაფინანსებისგანაც, მაგრამ ქალმა პატრიოტულად განწყობილი გაზის კომპანია გამონახა სპონსორად და ოლიმპიადაზე მოსახვედრი ფორმაც შეინარჩუნა. ლაზუტინა, რომელიც წინა თამაშებზე ესტაფეტებში უცვლელად იმარჯვებდა, მოსკოვის ოლქში, ოდინცოვოში სახლობს, მეუღლესა და 8 წლის ქალიშვილ, ალისას პატრონობს და პროფესიით სპორტის ინსტრუქტორი გახლავთ.

# SOVIET OPEN?

**ჰოკეი**

A ჯგუფი

10 თებერვალი

**ყაზახეთი — სლოვაკეთი 4:3**

**(1:1, 0:1, 3:1)**

**შაიბები: პლავუხა (0:1), ე. კორეშკოვი (1:1), იანოში (1:2), ბოროდულინი (2:2), შაფრანოვი (3:2), ბონდრა (3:3), ა. კორეშკოვი (4:3)**

წინა დღეს თვისტომთა დასახმარებლად ჩამოსულმა სახელოვანმა სლოვაკებმა, ვაშინგტონელმა თავდამსხმელმა პეტერ ბონდრამ და ფლორიდელმა მცველმა რობერტ შვეჰლამ თავი არ დაზოგეს, რათა მათ გუნდს ჰაერივით საჭირო გამარჯვება მოეპოვებინა. ბონდრა ერთ-ერთი საუკეთესო იყო ყინულზე და აკი 53-ე წუთზე, შვეჰლას ჩინებული პასის შემდეგ გაათანაბრა კიდეც, მაგრამ ყაზახები არ გატყდნენ და უხეიროდ ნათამაშევი ორი პერიოდის შემდეგ მატჩის ბედი შეატრიალეს. ბოლო მესამედში კორეშკოვებისა და შაფრანოვის სამეულმა, რომელიც წინა ეტაპზე უდავოდ უძლიერესი იყო, ორი საუცხოო შაიბა შეაგდო. აღსანიშნავია, რომ აზიელებს ამ შეხვედრაში ფრეც აძლევდათ ხელს (თუ იტალიელები ავსტრიელებს მოუგებდნენ და ასეც მოხდა), მაგრამ დებიუტანტებმა გამარჯვებისთვის იბრძოლეს, წინა მატჩების დარად, გადამწყვეტი გოლი ბოლო წუთებზე გაიტანეს და ჰოკეისტთა ტურნირზე ჯერჯერობით ყველაზე დიდი სენსაცია მოახდინეს.

**იტალია — ავსტრია 5:2**

**(2:0, 2:0, 1:2)**

**შაიბები: ფილიუცი (1:0), ფილიუცი (2:0), ჩიტარონი (3:0), რამოსერი (4:0), რესმანი (4:1), ძარილო (5:1), კრომპი (5:2)**

ალექსანდრ კორეშკოვის გოლმა ავსტრიელებს გზა გადაუღობა მეორე ეტაპისკენ და, ცხადია, ამან ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩში მათ განწყობაზე იმოქმედა. იტალიელებმა კი, რომელთაც მანამდე ორი მარცხი იწვნიეს, წირწამხდარ მეტოქეს უკვე 27-ე წუთზე მოუსპეს გამარჯვების იმედი და ჩიტარონის სოლო რეიდის შემდეგ მეტად საჭირო ორი ქულა მიითვალეს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ყაზახეთი | 2 | 1 | 0 | 14:10 | 5 |
| სლოვაკეთი | 1 | 1 | 1 | 9:9 | 3 |
| იტალია | 1 | 0 | 2 | 11:11 | 2 |
| ავსტრია | 0 | 2 | 1 | 9:12 | 2 |

B ჯგუფი

**ბელარუსი — იაპონია 2:2**

**(1:1, 1:1, 0:0)**

**შაიბები: რომანოვი (1:0), კატაიამა (1:1), ბეკბულატოვი (2:1), კუვაბარა (2:2)**

ორი დამაჯერებელი გამარჯვებისა და რვა უძლიერესს შორის მოხვედრის შემდეგ ბელარუსებმა ძალა დაზოგეს და ამით იაპონელი ქომაგებიც გაახალისეს — მასპინძლებმა ხომ პირველი ქულა ჩაიწერეს აქტივში. აღსანიშნავია, რომ აზიელთა ორივე გოლი რიცხვმრავლობაში გათამაშებული ლამაზი კომბინაციების შედეგად გავიდა და ისინი კანადაში დაბადებულ ჰოკეისტთა ანგარიშზეა (მთლიანობაში იაპონელებს ექვსი „კანადელი“ ჰყავდათ).

**გერმანია — საფრანგეთი 2:0**

**(1:0, 1:0, 0:0)**

**შაიბები: მაკეი (1:0), დრაიზაიტლი (2:0)**

ტურნირამდე B ჯგუფის ფავორიტებად მიჩნეული გუნდებისთვის, რომლებმაც პირველობის ყოველგვარი შანსი დაკარგეს, ეს შეხვედრა პრესტიჟის საქმელა იყო. ამისთვის კი გერმანელებმა უკეთ იბრძოლეს. რაც შეეხება მათ ნჰლ-ელებს, მეკარე ოლაფ კოლციგს (20 მოგერიება), მცველ უვე კრუპს (1 პასი) და თავდამსხმელ მარკო შტურმს, ისინი იაპონიაში სწორედ საფრანგეთთან მატჩისთვის ჩამოვიდნენ, მაგრამ დააგვიანეს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბელარუსი | 2 | 1 | 0 | 14:4 | 5 |
| გერმანია | 2 | 0 | 1 | 7:9 | 4 |
| საფრანგეთი | 1 | 0 | 2 | 5:8 | 2 |
| იაპონია | 0 | 1 | 2 | 5:10 | 1 |

**ქალთა ჰოკეი**

**11 თებერვალი. კანადა — შვედეთი 5:3, ჩინეთი — იაპონია 6:1, აშშ — ფინეთი 4:2**

ტურნირის ფავორიტს, კანადას ძალზე გაუჭირდა უფრო დაბალი კლასის გუნდების ძლევა. ჯერ იყო და კანადელებმა ჩინელებს მეორე პერიოდში რის ვაი-ვაგლახით გაუტანეს ორი გოლი, ახლა კი, შვედებთან, ტურნირის საუკეთესო სნაიპერს დანიელა გოიეტის (2 გოლით 6-მდე გაზარდა თავისი მარაგი) რომ არ ემარჯვა, შესაძლოა, ქულაც დაეკარგათ.

ჩინეთის ნაკრების თავდამსხმელმა ვეი გუომ თანაგუნდელების — ჯანგის, ჟანგისა და სანგის გოლებს ტურნირის მეორე ჰეთ-თრიქიც დაამატა, ხოლოდ იაპონელებისთვის ოლიმპიადაზე შეგდებული ყოველი შაიბა ლამის ეროვნულ დღესასწაულად იქცეს.

## ჯანგი, ჟანგი, სანგი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კანადა | 3 | 3 | 0 | 0 | 20:3 | 6 |
| აშშ | 3 | 3 | 0 | 0 | 16:3 | 6 |
| ფინეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 19:5 | 4 |
| ჩინეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 6:8 | 2 |
| შვედეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 4:18 | 0 |
| იაპონია | 3 | 0 | 0 | 3 | 2:30 | 0 |

# რუსების ჯგუფში ყაზახები იასპარეზებენ

ჰოკეისტთა ტურნირის განრიგში ცვლილებაა. მოგეხსენებათ, A ჯგუფის გამარჯვებული კანადის, აშშ-ისა და შვედეთის გუნდებს (D ჯგუფი) უნდა შებმოდა, B ჯგუფში საუკეთესო კი — რუსეთის, ჩეხეთისა და ფინეთის ნაკრებებს (C ჯგუფი). იიჰფ-ის წარმომადგენლის განცხადებით, წინასწარი ეტაპის მონაწილენი ტურნირამდე რეიტინგის მიხედვით იყვნენ განლაგებულნი, მეორე ეტაპზე გასული ორი ნაკრებიდან კი უფრო მაღალი რეიტინგი ბელარუსს აღმოაჩნდა და იგი D ჯგუფში მოხვდა, მეორე, ყაზახეთი კი — C-ში.

ასე რომ, მეორე ეტაპზე გუნდები ასე განაწილდნენ:

C: რუსეთი, ჩეხეთი, ფინეთი, ყაზახეთი; D: კანადა, აშშ, შვედეთი, ბელარუსი

# ასანთის ღერში ოქროს იძლევიან

**ციგაობა**

ნაგანოს ოლიმპიადაზე ციგაობაში გერმანელი ჯარისკაცები ზეობენ. ერთადგილიანი ციგით მოასპარეზე ქალებში სილკე კრაუსჰაარმა იმარჯვა, რომელმაც შეიარაღებულ ძალებში თავის კოლეგას — ბარბარა ნიდერნჰუბერს ოთხი ცდის ჯამში ოლიმპიადების ისტორიაში უმცირესი უპირატესობით, ოდენ 0,002 წამით აჯობა, რაც მანძილად რომ აქციო, სულ ერთ ასანთის ღერს გასწვდება. „უბრალოდ, მე გამიმართლა, ბარბარას კი — არა, ჩვენ ორივენი ვიმსახურებდით ოქროს“ — განაცხადა დაჯილდოებისას გამარჯვებულმა. პირველი დღის შემდეგ წინ ნიდერნჰუბერი იყო და უახლოეს მდევარს 0, 056 წამს უგებდა, მაგრამ მესამე ცდით სილკემ ჩამორჩენა 6 მეათასედამდე შეამცირა და ლიდერს ნერვებმა უმტყუნა: „ბოლო ცდის წინ საშინლად ვნერვიულობდი, ლამის გონება დავკარგე, ასე რომ, მეორე ადგილითაც კმაყოფილი ვარ. ორი მეათასედი...მაგრამ რას იზამ, ეს სპორტია“ — დაიჩივლა ნიდერნჰუბერმა, რომელსაც ნაგანოსთვის ციგაობაში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ასევე გერმანელი და პროფესიით ასევე სამხედრო გეორგ ჰაკლი ამზადებდა. მესამე ადგილი წილად ხვდა 1992 წლის თამაშების ვერცხლის პრიზიორს, ავსტრიელ ანგელიკა ნოიბერს, 1994 წლის ოლიმპიური ჩემპიონი, გერმანული სახელისა და გვარის პატრონი იტალიელი გერდა ვაისენშტაინერი კი მხოლოდ მეცხრე იყო. 27 წლის სილკე ჩემპიონი პირველად თურმე 1988-ში გახდა, ოღონდ მხოლოდ აღმოსავლეთ გერმანიისა, ამის შემდეგ კი დიდ შეჯიბრებებში მედალი არ ღირსებია, ის კი არა, ოლიმპიადებზე წამსვლელთა შორისაც კი ვერ ხვდებოდა.

# დუმილი ოქროს მედალია

**ტრამპლინიდან ხტომა**

იაპონიაში ერთობ პოპულარული ტრამპლინიდან მხტომელის მასაჰიკო ჰარადას მხარდასაჭერად სამშაბათს თითქმის 60 ათასი მისი თვისტომი შეიკრიბა, მაგრამ კერპმა მათ იმედები გაუცრუა, ჩემპიონი კი 25 წლის ფინელი იანი სოინინენი გახდა. პირველი ცდის შემდეგ უგრძესი — 91,5-მეტრიანი ნახტომით პირველ ადგილზე ჰარადა იყო, სოინინენს კი მეორე პოზიცია ეჭირა. ასე რომ, ეს ორი სულ ბოლოს უნდა გადმომხტარიყო. როდესაც ფინელის ჯერი დადგა, მსაჯებმა გადაწყვიტეს, რომ მისთვის ერთობ ხელშემწყობი ზურგქარი უბერავდა და მოცდა უბრძანეს. ლიდერები რიგს გვერდიგვერდ ელოდნენ. მშვიდი სკანდინაველი ქარაშოტს აუღელვებლად გასცქეროდა, იაპონელი კი ტუჩებს იკვნეტდა. მწვანე შუქს სოინინენი კონცენტრირებული შეხვდა და 89 მეტრზე გადახტა, ჰარადამ კი, 1994 წლის ოლიმპიადის მსგავსად, როდესაც გაფუჭებული ცდით იაპონიას გუნდური ოქრო დააკარგვინა, საკუთარი თავის დამორჩილება ვერ შეძლო, 84,5 მეტრი იფრინა და საბოლოოდ მეხუთე ადგილზე ჩამოინაცვლა. სამაგიეროდ, ვერცხლი კიდევ ერთ იაპონელს, მსოფლიოს თასის გამარჯვებულ კაზუიოში ფუნაკის ხვდა წილად, რომელმაც ლამაზი ნახტომისთვის მსაჯების უმაღლესი შეფასებები დაიმსახურა. მესამე ადგილზე კი ავსტრიელი ანდრეას ვიდჰოლცი გავიდა. 25 წლის სოინინენი, რომელსაც უთქმელობის გამო ჩუმ კაცს ეძახიან, იუვიასკიულელია, იმავე ქალაქელი, საიდანაც ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ტრამპლინიდან მხტომელი მატი ნიუკანენი. იგი ზუსტი მოწყობილობების მექანიკოსია, თავისუფალ დროს როკის სმენით და საყვარელ ძაღლთან თამაშით კლავს, 1995 და 1997 წლებში კი გუნდურ ჩათვლაში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულიც მოუპოვებია.



იანი სოინინენი

**ავთანდილ სგანიძე**

# ბულგარეთის პირველი გოგო

**ბიათლონი**

ბიათლონისტ კაცთა ოქროს მედალი 20-კილომეტრიან რბოლაში ნორვეგიელმა ჰალვარდ ჰანევოლდმა მოიგო. ნორვეგიელს გვარიანი ჯაფაც დაადგა, რადგან ერთი ხანობა ერთი გასროლა აუცდა და 15 წამითაც ჩამორჩა ზუსტად მსროლელ იტალიელ კარარას. ფინიშამდე ორი კილომეტრიღა იყო დარჩენილი, როცა იტალიელი 12 წამს იგებდა და გული საგულეს ჰქონდა, მაგრამ ჯიუტმა ჩრდილოელმა სასწაულებრივი ტემპი აწია და 5 წამით მოუგო ჭიდილი. კარარა, რომლისთვისაც ნაგანო მეხუთე ოლიმპიადაა, მეორე დარჩა, მესამე კი ბელარუსი ალექსეი აიდაროვი იყო. ლილეჰამერის ჩემპიონი რუსი სერგეი ტარასოვი ცაში ისროდა და დუნედ ირჯებოდა, რის გამოც მე-15 ადგილზე დარჩა.

იქავე, ერთი დღით ადრე მოჟრიამულე ბულგარელებმა მხრებზე შეისვეს 22 წლის ჩეპელასელი გოგო ეკატერინა დაფოვსკა. არც არის გასაკვირი: ქალთა 15-კილომეტრიანი ბიათლონი სწორედ მან მოიგო და თავის ბულგარეთს ისტორიაში პირველი ზამთრის ოლიმპიური ოქრო მოუტანია. არადა, დაფოვსკა არავის ახსოვდა, მსოფლიო თასის ცხრილში ის მხოლოდ 51-ე იყო. მან საუცხოოდ ისროლა, ოც ტყვიაში მხოლოდ ერთი საჯარიმო წუთი მიიღო. ლილეჰამერში დაფოვსკა 24-ე იყო, აქ კი რობინ ჰუდის ცოლივით გაისარჯა. მოულოდნელი იყო ვერცხლის მომგებიც — უკრაინელი ელენა პეტროვა, რომელიც 17,8 წამით ჩამორჩა ჩემპიონს.

# ტროპიკული ჩემპიონი

**ფრისტაილი**

ნაგანოს ამერიკულ გუნდს პირველი ოქრო ფრისტაილის მოსრიალემ ჯონი მოუზლიმ მოუტანა. მსოფლიო თასის ამ 22 წლის ლიდერმა ბოლომ აიღო სტარტი და თავისი ვარჯიშობით უკან ჩამოიტოვა ორი ფინელი — იანე ლაჰტელა და სამი მუსტონენი. ადრე აღიარებული ფავორიტი, კანადელთა მედროშე ჟან-ლიუკ ბრასარი მხოლოდ მეოთხე იყო.

„არ მჯერა, არ მჯერა“ — შესძახა მოუზლიმ, რომელიც რაგინდ გასაკვირი უნდა იყოს, პუერტორიკოელია და წესით თოვლში კი არ უნდა ბუღრაობდეს, კრივის ხელთათმანი უნდა ეცვას.

ქალთა შეჯიბრი კი საპოროელმა ტაე სატოიამ მოიგო და იაპონელებს ათქმევინა, ეს ერთი და სხვა ათასიო.

მეორე გერმანელი ტატიანა მიტერმაიერი იყო, ბრინჯაო კი ნორვეგიელ კარი ტროს ერგო. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი და ლილეჰამერის გამარჯვებული ამერიკელი დონა უეინბრეჰტი საერთოდაც უმედლოდ დარჩა და მისთვის სამარცხვინო მეოთხე ადგილი დაიჭირა.

# NHL მოდის!

ნაგანოს, როგორც იქნა, ეღირსა ნჰლ-ელი პროფესიონალების ჩასვლა. პირველნი, 9 თებერვალს, იაპონიას რუსები ესტუმრნენ. რუსეთის ნაკრები სრული შემადგენლობით წარდგება ოლიმპიადაზე, თუ არ ჩავთვლით ერთ ცვლილებას: ბოლო მატჩში დაშავებული რეინჯერსელის ალექსანდრ კარპოვცევის ნაცვლად სერგეი გონჩარი ითამაშებს, ხოლო მესამე მეკარედ რუსეთში მოასპარეზე სერგეი შევცოვი ირჩიეს. რუს ჰოკეისტებს ეროვნული გუნდის ხელმძღვანელები დახვდნენ, რომლებიც უფრო ადრე ჩავიდნენ ნაგანოში და ორგანიზაციული საკითხები მოაგვარეს. მეორე დღეს ნაკრებმა პირველად ივარჯიშა, საღამოს კი კანადელებიც გამოჩნდნენ. ისინი ჯერჯერობით ანაჰაიმის ლიდერ პოლ კარიას მოისაკლისებენ, რომელიც 1 თებერვალს ჩიკაგოსთან შეხვედრაში მიღებული ტვინის შერყევის გამო მთლად არ გამოკეთებულა და მისი მზადყოფნის საკითხს საგანგებო კომისია განიხილავს. ცხადია, ნჰლ-ელები მიჩვეულნი არიან ყურადღების ცენტრში ყოფნას, მაგრამ იაპონელთა თბილმა დახვედრამ თვით ყველაზე გამოცდილი ჰოკეისტებიც კი გააოცა.

პრესკონფერენციას, რომელიც კანადისა და აშშ-ის გუნდების ჩამოსვლას მიეძღვნა, 600-მდე (!) ჟურნალისტი დაესწრო. იაპონელებს საოცრად აინტერესებთ ნჰლ-ის ამბები, ყველაზე მხურვალედ კი უეინ გრეცკის შეხვდნენ. როცა იგი რეპორტიორებს გაესაუბრა, მათ ნამდვილი აყალმაყალი ატეხეს, ყველას სურდა, ჰოკეის ცოცხალი ლეგენდის ხმა მოესმინა.

დასაფასებელია, რომ ფუფუნებას ჩვეულმა პროფესიონალებმა არ მოინდომეს სხვა ოლიმპიელთაგან განცალკევება და ოლიმპიურ სოფელში დაბინავდნენ. მიუხედავად იმისა, რომ საყოფაცხოვრებო პირობები იდეალური არ არის, არც ერთ მათგანს დაუჩივლია.



ნჰლ-ის რუსი ვარსკვლავი სერგეი ფიოდოროვი

**სამველ ლარიბიანი**

**ანონსი**

**დღეს**

❄ მთის თხილამურობაში ორი დაშვებაა: ერთი საჩემპიონო, ერთიც კომბინაციაში შემავალი

❄ ბარის თხილამურობაში ვაჟები ერთმანეთს კლასიკური სტილით 10 კილომეტრზე გაეჯიბრებიან, ქალები კი ამავე დისტანციაზე თავისუფალი სტილით ირბენენ

❄ სნოუბორდის მიმდევარი ქალებიცა და ვაჟებიც „ჰაფ-პაიპს“ გამართავენ

❄ მოციგურავე ვაჟები 1500 მეტრზე ირბენენ

❄ ჰოკეისტი ვაჟები გაითამაშებენ IX, XI და XIII ადგილებს. ქალები გამართავენ IV ტურს

❄ გაგრძელდება კერლინგის წრიული ტურნირები

**ხვალ**

❄ მთის თხილამურობაში ვაჟთა სუპერგიგანტია

❄ მხტომელები დიდ ტრამპლინს დააჭაშნიკებენ

❄ მოციგურავე ქალები ირბენენ 500 მეტრზე

❄ მოცეკვავე წყვილები შეასრულებენ სავალდებულო ცეკვებს

❄ ჰოკეისტი ვაჟები მეორე სტადიის პირველი ტურის მატჩებში ჩაებმებიან

❄ ორადგილა ციგით მოასპარეზე ვაჟები გამოავლენენ ჩემპიონს

❄ ჩვეულებრივ გაგრძელდება კერლინგი

# თორმეტი თერთმეტზე

ლა ვალეტა
„ტა ქალი"
10 თებერვალი

**მალტა 1:3 საქართველო**

მუსკატი
მაგრი ოვერენდი
ჩეტკუტი სიქსმისი
სენ ფურნიე ზაჰრა
ბრინკატი
ტერნერი სალიბა
აგიუსი
ნვოკო

ყაველაშვილი
ქინქლაძე
ქეცბაია ნემსაძე ჯამარაული
შეყილაძე
სილაგაძე
კალაძე ჩიხრაძე
შელია
გვარამაძე

შეცვლები: სენ ფურნიე — სუდა (46), ჩიხრაძე — იაშვილი (46), სალიბა — გიგლიო (64), სუდა — კარაბოტი (75), ჯამარაული — კინაძე (74), სილაგაძე — ცქიტიშვილი (78), კალაძე — ხვადაგიანი (78), ჯამარაული — გახოკიძე (78), აგიუსი — სულთანა (83)

0:1 ყაველაშვილი (12), 1:1 მაგრი ოვერენდი (58), 1:2 ჯამარაული (72), 1:2 ყაველაშვილი (76)

გაფრთხილება: ბრინკატი, ჩიხრაძე, შელია, ნემსაძე, ჩეტკუტი, სილაგაძე, გიგლიო, გახოკიძე

მსაჯი: ბ. პრეგა (ალბანეთი)

**კობა ინასარიძე ლა ვალეტადან**

ესეც ასე. ქართველთა ნაკრებმა პირველ წარმატებას მიაღწია და პირველი თასიც ჩამოიტანა სამშობლოში.

მალტაზე ჩვენი ბოლო მეტოქე მასპინძელთა ნაკრები გახლდათ, საპირველადგილოდ ფრეც გვაძლევდა ხელს, მაგრამ ქართველებმა დიდი შემართებითა და მონდომებით ითამაშეს და მალტელებს გამარჯვებაზე ფიქრის შანსიც არ დაუტოვეს. წინა „სარბიელში" კუნძულიდან გაცნობეთ, ჩვენებისა და მასპინძლების შეხვედრას სავარაუდოდ ალბანელი არბიტრი განსჯის, მოსალოდნელია, ტენდენციურად იმსაჯოს, რადგანაც ორი დღით ადრე თვისტომები გავუნადგურეთ-მეთქი. ასეც მოხდა. მაგრამ ჩვენებზე იმან როდი იმოქმედა, რომ თერთმეტნი თორმეტის წინააღმდეგ თამაშობდნენ. აშკარა თამაშგარის გატარება გნებავთ, მოგონილი პენალტი, რამდენიმე უხეშობაზე თვალის დახუჭვა, მალტელების კარში ორი ათასპროცენტიანი პენალტის არდანიშვნა — ყველაფერი პრეგას სინდისზეა. რას გვერჩოდა, ისედაც გაუგებრად დამრჩა, არ ერჩია, პატიოსნად ემსაჯა? მაშინ ქართველებთან ერთად ამგზავრებული ალბანელი ქეცბაიასგანაც არ დაიმსახურებდა „ტკბილ" სიტყვებს, რომელიც ქართულად ცუდი მსაჯი ხარო, ასე ითარგმნება. უბრალოდ, რა ინტერესი უნდა ჰქონოდა პრეგას ქართველებს რომ წაეგოთ? კარგით, ჯანდაბას, ფეხბურთის დაუწერელი კანონია, მსაჯი ოდნავი სიმპათიით ყოველთვის მასპინძლისკენაა, მაგრამ ასეთი ჩაგვრა კარგა ხანია, არ მინახავს. ერთთავად უმოწყალოდ გვარამაძის კარისკენ ჰქონდა ხელი გაშვერილიო, უსტვენდა და უსტვენდა, უსამართლო ყვითლებიც აუფრიალა ქართველებს, საბოლოოდ კი მაინც თვითონ დარჩა წაგებულ-გალანძღული, მალტელებთან ერთად. არადა, მატჩი ისე დაიწყო, მასპინძლებს მსაჯის დაუხმარებლადაც შეეძლოთ ანგარიშის გახსნა პირველივე წუთზე. პირველივე შეტევა ნვოკომ და აგიუსმა გაითამაშეს, ორიოდ მეტრიდან დარტყმული კი კოშკამ სასწაულად მოიგერია. შემდეგ თამაში გათანაბრდა, ჩვენების უპირატესობა გამოიკვეთა, რამდენჯერმე კარგი მომენტები გაუცუდდათ ქეცბაიასა და ყაველაშვილს, რომელთა საპასუხოდაც შავკანიანი ნვოკოს დარტყმული შელიას ფეხმა აისხლიტა, სიქსმისმა კი უკვე ნახევარი მეტრიდან მეტად უხეიროდ დაარტყა თავი. ბურთი გვარამაძემ აიღო. ეს იყო და ეს, პირველ ტაიმში მასპინძლებს მნიშვნელოვანი არაფერი გაუკეთებიათ, ხოლო ჩვენები სიქსმისის თავურის შემდეგ გამწარდნენ, იქვე ნემსაძემ ზაჰრას დაასწრო, ჯამარაულს გადააწოდა, მანაც ნახევარი მასპინძელთა გუნდი უკან მოიტოვა და ყაველაშვილი მუსკატის ცხვირწინ დატოვა, პირველი გოლიც ასე გავიდა. მერე მსაჯის დამსახურებით ორი ათასპროცენტიანი პენალტი არ გვერგო, ყაველასა და ქეცბას მოცველვისთვის დასანიშნი, ტაიმის ბოლოსთვის კი გუცაევმა ჩიხრაძის იაშვილით შეცვლა დააპირა თავდასხმის გასაძლიერებლად, მაგრამ აღარ დასცალდა, პრეგამ ჩასტვინა. შეცვლა შესვენებაზეღა მოხერხდა, ქინქლაძემ ოდნავ უკან დაიხია, შეყილაძემ ჩიხრაძის ადგილი დაიკავა, იაშკა კი ყაველას მიეხმარა. ჩვენების უპირატესობა სულ უფრო თვალსაჩინო ხდებოდა. სუმართა გუნდის მიმართ პატივისცემის საჯაროდ არგამომხატველი მალტელი მაყურებელი დადუმდა, თვალებში ეტყობოდათ, სიამოვნებდათ ჯამარაულის, ნემსაძისა და ქეცბაიას შესანიშნავი თამაში. ტრიბუნებიდან ათასში ერთხელ თუ გაიგონებდით თავისიანების გამამხნევებელ შეძახილებს. ასე გრძელდებოდა 58-ე წუთამდე, იქამდე, სანამ ბრინკატი ქართველთა საჯარიმოს არ მიუახლოვდა და სილაგაძეს ზურგში არ მოარტყა ბურთი. მსაჯმა ხელები გაიქნ-გამოიქნია, იფიქრა, პენალტი დავნიშნო, თუ არაო, ბოლოს, ეტყობა, სულმა წაძლია და მაგრი ოვერენდს ანგარიში გაათანაბრებინა. აუუ ამის შემდეგ უნდა გენახათ, რა ხდებოდა „ტა ქალიზე", მალტელები ცენტრის ხაზს ვერ სცდებოდნენ. ქართველები საშინლად გამწარდნენ — ფეხებშუა ბურთის გაძვრენას, ქუსლურებს, მახვილგონივრულ პასებს, ტექნიკის დემონსტრირებას დიდი ფიზიკური ძალა, დასწრებაზე თამაში დაურთეს და მალტელები შოკში აღმოჩნდნენ. ცხადზე ცხადი გახლდათ — ეს თამაში ჩვენების გამარჯვებით დამთავრდებოდა, მსაჯიც უძლური იყო, რაიმე ელონა, ბოლოს კი ჯამარაულის მარჯვენამ ყველაფერი თავის ადგილას დააყენა. კალაძემ მარცხნიდან ჩააწოდა, იაშკამ თავით უკან გადმოუგდო ჯამარას, რასაც საჯარიმოს კუთხიდან შეუჩერებელი დარტყმული მოჰყვა შორეულ კუთხეში. ადგილობრივი მაყურებელი იხტიბარს მაინც არ იტეხდა, კიდევ რაღაცის იმედი ჰქონდა, რისი, ვერ გავიგე. წინა მატჩებისგან განსხვავებით, ტაშს აღარ უკრავდნენ ქართველთა ოსტატობისას. ეტყობა, ძლიერ ნაწყენები დარჩნენ, თანამემამულეები უსუსურნი რომ აღმოჩნდნენ ჩვენების გამარიული თამაშის წინააღმდეგ. მესამე გოლმაც აღარ დააყოვნა. სამსვლიანი, გვარამაძის წამოწყებული შეტევა ქეცბაიამ ორმოცმეტრიანი რეიდით გააგრძელა, საჯარიმოში უხეშად მოცელეს, პენალტი? არა. თუმცა, ბურთს იქვე ყაველაშვილი დაეუფლა და ნირწამხდარ მალტელებს მთლად აურია გონება. გუცაევმაც ისარგებლა სოლიდური ფორით, სამი შეცვლა ერთბაშად გააკეთა, ახალბედებმაც არ უმტყუნეს, მასპინძლებს გასაქანი აღარ მისცეს და მატჩიც დაამთავრა. შემდეგ უხვად ერგოთ ჩვენებურებს ქათინაურები, მილოცვები, დალოცვები, ადგილობრივი მაყურებელი კი მხოლოდ ამის შემდეგ მიხვდა, რა შეუძლია საქართველოს ნაკრებს... და როგორც იქნა, ტაშიც დაუკრეს. ასე დამთავრდა „როტმანსის" ოთხთა ტურნირი, მაგრამ ჩემთვის მაინც გამოცანად დარჩა — რანი არიან ეს მალტელები?



შეყილაძე (6), ქეცბაია და ჩიხრაძე მოგებული „როტმანსის" თასით

# პახარი — კოლა 2:2

ლა ვალეტა
„ტა ქალი"
10 თებერვალი

**ლატვია 2:2 ალბანეთი**

ლატვია: რ. ლაიზანსი, ზაკრეშევსკი, ვ. ასტაფიევი (რინკუსი 80), ი. ლაიზანსი, ლობანოვი, ბლაგონადეჟდინი, ბლეიდელისი, პახარი, ზეიბერლინში (ისაკოვი 69), ლუკაშევიჩი, პოლიაკოვი (სლესარჩუკი 46)
ალბანეთი: გრიმა, ლალა, შულკუ, ფაკაი, ვატა, გალო (ტარე 46), პეკო (კოტრი 61), ბუში (მემა 85), კოლა, რაკლი (მურატი 46), ჰალილი
1:0 პახარი (35), 1:1 კოლა (45), 1:2 კოლა (47), 2:2 კახარი (54)
გაფრთხილება: ზეიბერლინში
გაძევება: ლალა (89)
კალამ ვერ გაიტანა პენალტი (45)
მსაჯი: ლ. სამატი (მალტა)

**კობა ინასარიძე ლა ვალეტადან**

ამ გუნდებს შორის მატჩში ყველაზე ლოგიკური სწორედ ფრე იქნებოდა, რადგანაც ორივე ნაკრები თითქმის თანაბარი ძალისანი არიან. ძნელია ახლა მსჯელობა იმაზე, რომელ გუნდს რაში აქვს უპირატესობა, ალბანელებს უფრო ტექნიკაში, ლატვიელებს ფიზიკურ მომზადებაში და ბრძოლისუნარიანობაში. ორივეს აქვთ თავიანთი დადებით-უარყოფითი მხარეები. ესენი საქართველოს ნაკრებთან ახლოსაც ვერ მოვლენ, ყოველ შემთხვევაში, მალტის ტურნირის შემდეგ ძალაუნებურად ასეთი შთაბეჭდილება იქნება. თამაშის ტემპიც გუნდების კლასს შეესაბამებოდა, შიგადაშიგ თუ აჩქარდებოდნენ და მაშინვე ხიფათი იქმნებოდა რომელიმე კართან. ძირითადად მიხიჩას გუნდი გვევლინებოდა თავდამცველად, ალბანელები უფრო ხშირად უტევდნენ, მაგრამ პირველად მაინც ბალტიისპირელებმა იხეირეს, ისევ პახარმა შეძლო თავისიანთა გახარება, მას შემდეგ რაც ზეიბერლინშ-ბლეიდელისის კომბინაცია კარიდან სამ მეტრში მდგარმა გოლით დაასრულა. ლატვიელებმა შეაგდეს და ისევ დაცვაში ჩაჯდნენ, ეტყობა, მიხიჩა ასეთ ფეხბურთს ასწავლის თავის შეგირდებს, თორემ ცოტა უცნაურია, სამივე მატჩში დაცვითი ფეხბურთის ვარიანტი შესთავაზო მეტოქეს. დაცვითი და კონტრშეტევითი ფეხბურთი, აი ის, რაც ლატვიის ნაკრებმა მალტაში ითამაშა. იქნებ ძოძუაშვილის ამგვარი ჩანაფიქრი ბევრი მოთამაშის არყოფნით აიხსნება, მაგრამ ფაქტია, ასეთმა ტაქტიკამ ლატვიელებს მხოლოდ ერთი ქულა და ბოლო ადგილი მოუტანა ოთხთა ტურნირში. ახლა ისევ მატჩზე. ალბანელებმაც, მალტელების არ იყოს, მოგონილი პენალტით გაათანაბრეს ანგარიში. მსაჯმა ერთ-ერთი ლატვიელი მცველი ვითომ ხელით თამაშისთვის მწარედ დასაჯა, მანამდე კი ორწუთიანი საქმის გარჩევა მიმდინარეობდა ლატვიელ-ალბანელი ფეხბურთელებისა და სამატის მონაწილეობით. ბოლოს კი მაინც პენალტი დაარტყმევინეს კოლას, რომელსაც ლაიზანსმა აუღო, მაგრამ თავადვე დაამატა. იქვე ტაიმიც დამთავრდა. მატჩის განახლებიდან ორ წუთში კვლავ კოლამ ივაჟკაცა, დაახლოებით საჯარიმოს ხაზთან მარტო აღმოჩნდა, კარსაც კარგად დაუმიზნა ბურთი და თავისიანებს უზომო სიხარული მიანიჭა. ლატვიელები მხოლოდ ამის შემდეგ გადავიდნენ უკანმოუხედავ შეტევებზე, ერთი-ორჯერ შორიდანაც დაურტყეს გრიმას, ნელ-ნელა ალბანელთა საჯარიმოსაც გაუშინაურდნენ, რაც უყურადღებოდ დატოვებულმა მოქნილმა და სწრაფმა, ოღონდ უჭკუო პახარმა მეორე გოლით დაასრულა. ლატვიამ ისევ საკუთარი კარისკენ დაიხია, ალბანელთაგან ყველაზე აქტიური, ტექნიკური კოლა, როგორც იქნა, ალაგმეს, ზონაც საიმედოდ გადაკეტეს და რევაზ ძოძუაშვილის თქმით, ქულა მაინც მოიპოვეს.

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისურმა** „ასტონ ვილამ" ფიფაში უჩივლა მადრიდის „ატლეტიკოს". ჩივილის მიზეზი ის გახლდათ, რომ ესპანეთის დედაქალაქის კლუბის პრეზიდენტმა, ხესუს ხილი ხილმა ბირმინგემელთა იუგოსლავიელ მოთამაშეს სავო მილოშევიჩს თავისთან გადასვლა შესთავაზა. ეს თავისთავად დანაშაული არაა. წესის დარღვევა ყოფილა ის, რომ ხილი ხილი დაელაპარაკა ფეხბურთელს, რომელიც „ვილას" სატრანსფერო სიაში ჯერ არ ჰყავდა შეყვანილი. კლუბის მდივანმა სტივ სტრაიდმა განაცხადა, რომ მათი პროტესტი, რომელიც ფიფას გარდა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას გაეგზავნა, ხილი ხილის კომენტარებმაც გამოიწვია. შეგახსენებთ, რომ მილოშევიჩი ისევ ფეხბურთელია, რომელსაც „ასტონ ვილაში" თამაში აღარ სურს. მან ჯერ იყო და 17 იანვარს „ბლექბერნთან" მატჩის შემდეგ საკუთარი გუნდის გულშემატკივრებს აფურთხა, გასულ ტურში „დერბის" წინააღმდეგ კი სათადარიგოთა შორის ყოფნა ითაკილა და თამაშში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

**იტალიურ „ფიორენტინაში"** მოთამაშე არგენტინელმა ვარსკვლავმა გაბრიელ ბატისტუტამ სერია A-ს მსაჯებს მეგობრობის ხელი გაუწოდა. მან თქვა, რომ ფეხბურთელები და არბიტრები ერთმანეთს უნდა ენდობოდნენ. საქმე ის გახლავთ, რომ იტალიის პირველობის შეხვედრებში დაშვებული უხეში შეცდომები ხალხმა მსაჯებს ფავორიტიზმად ჩამოართვა. დაირხა ხმები, რომ ერთი მსაჯი ამა და ამ გუნდს უწყობს ხელს, მეორე სხვას და ასე შემდეგ. „პრობლემა ისაა, რომ ჩვენ ერთმანეთს არ ვენდობით. ერთმანეთთან საუბრის მაგივრად ვჩხუბობთ და ეს ძალიან ცუდია. ამასწინათ კოვერჩანოში გამართული შეხვედრა უაზრო გამოდგა. იქ ხალხმა ბევრი ილაპარაკა, მაგრამ ყველას გულწრფელობა აკლდა. ვგონებ, მსაჯებს გადაწყვეტილებათა მიღების საშუალება უნდა მივცეთ, თორემ გამოდის, რომ ისინი ვერ ფლობენ ინიციატივას და ეს მათ კიდევ უფრო უხეში შეცდომებისკენ უბიძგებს" — თქვა ბატისტუტამ.

**საფრანგეთის** მეორე დივიზიონში მოთამაშე „მარტიგის" ხელმძღვანელებმა უარჰყვეს ხმები, თითქოს მათი გუნდისა და ალჟირის ნაკრების ფეხბურთელი ლახდარ აჯალი დოპინგტესტზე გამოიჭირეს. ხმები ბურკინა ფასოში დაირხა, სადაც აფრიკის თასის თამაშები მიმდინარეობს. აჯალი ალჟირელებმა გვინეასთან შეხვედრაში არ გაიყვანეს მოედანზე, რამაც წარმოშვა ეჭვი, თითქოს 22 ნოემბერს გამართულ „მარტიგისა" და „ლილის" შეხვედრაში მას დოპინგით გამხნევებულს უთამაშია და უმხელიათ კიდეც. დაუყოვნებლივ კომენტარისთვის ალჟირისა და საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციებს მიაშურეს, მაგრამ პასუხს ვერ მიაგნეს, სამაგიეროდ „მარტიგის" პრეზიდენტმა დენის ლანკარმა არ დააზანა და ბრძანა, ეგ ცნობა მცდარიაო. მან თქვა, რომ იმ მატჩის შემდეგ აჯალი ტესტზე საერთოდ არ გაუყვანიათ. ბოლო ტესტი, ამ ფეხბურთელს რომ შეეხო, 25 ოქტომბერს მარტიგ-ტულონის მატჩის მერე იყო და მისი სისხლი აკრძალული ნივთიერებისგან წმინდა აღმოჩნდა. ლანკარმა განაცხადა, რომ ჭორებმა მოთამაშე, მისი ოჯახი, ალჟირის ნაკრები და „მარტიგი" შეურაცხყო.

**ბელგიელმა** მცველმა ფილიპ ალბერმა განაცხადა, რომ „ნიუკასლ იუნაიტედიდან" ალბათ, მალე გააგდებენ, რადგან გუნდის ახლანდელი მწვრთნელი კენი დილგლიში თავიდან იშორებს ყველას, ვინც მისმა წინამორბედმა კევინ კიგანმა იყიდა. ალბერის თქმით, იგი მზადაა ნებისმიერი კლუბის წინადადებას გაეცნოს, მაგრამ ბელგიაში დაბრუნება ფინანსური თვალსაზრისით თითქმის წარმოუდგენელია. გეხსომებათ, რომ 30 წლის ფეხბურთელმა გასული წლის ოქტომბერში თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდში თამაშზე უარი თქვა და სანაკრებო კარიერა დაასრულა. იგი „ნიუკასლ იუნაიტედში" 1994 წლის აგვისტოში „ანდერლეხტიდან" 4,3 მილიონ დოლარად გადავიდა და მას მერე გუნდის შეუცვლელ მოთამაშედ ითვლებოდა. ალბერის დამსვლა ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების ერთ-ერთ მატჩში დაიწყო. ნოემბერში, „ნიუკასლმა" „ბარსელონასთან" 0:1 რომ წააგო, იგი შესვენებისას შეცვალეს და მას მერე გუნდის მიერ გამართული 18 შეხვედრიდან სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ ექვსჯერ მოხვდა. ბოლო ტურში დალგლიშის გუნდმა „ვესტ ჰემთან" შინ 0:1 წააგო, ალბერს კი მოედანზე ერთი წამიც არ დაუყვია — სათადარიგოთა სკამზე იჯდა. სულ „ნიუკასლ იუნაიტედის" შემადგენლობაში ბელგიელმა ლიგისა და თასის 107 მატჩი ჩაატარა და 11 გოლი შეაგდო.

**ესპანეთის** ჩემპიონატის ლიდერი „ბარსელონა" ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ 4 ათასი დოლარის ეკვივალენტური 600 ათასი პესეტით დააჯარიმა. მიზეზი: გასულ კვირაში „ბარსელონა" — „მერიდას" სათასო შეხვედრის დროს მავანმა გულშემატკივარმა მსაჯს ვიქტორ ესკინას ტორესს წყლით სავსე ბოთლი ესროლა. ბოთლი ადრესატს მოხვდა, მაგრამ ვერ დააზიანა. ასეთი ინციდენტი „კამპ ნოუზე" პირველად არ მოხდა. თასისავე შეხვედრაში მადრიდის „რეალის" წინააღმდეგ აგვისტოში რომ გაიმართა, სტუმართა ბრაზილიელ მცველს რობერტო კარლოსს ტრიბუნიდან ანთებული სიგარეტით გადახოტრილი თავი დაუწვეს. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის სხვა კლუბებმა, როდესაც ბარსელონელთათვის მისჯილი თანხა შეიტყვეს, აღშფოთება ვერ დამალეს. ზოგიერთმა მათგანმა საჯაროდ დასდო კატალონიელებს ბრალი. მათი თქმით, „კამპ ნოუზე" თამაში სახიფათოა ჯანმრთელობისთვის.

**ჰოლანდიის** თასის გათამაშების მესამე ეტაპზე აიაქსმა მოუგო როდას 5:0. შოთა არველაძემ ორი გოლი გაიტანა (მე-11 და 83-ე წუთებზე) ტვენტემ მოუგო ტილბურგს 1:0, ტელსტარმა კი სიტარდთან შეხვედრის დამატებით დროში გაუშვა ერთადერთი გოლი და წააგო 0:1. ნაიმეგენი — ჰერენვენი 1:3, ფეიენოორდი — გრონინგენი 2:0.

**პორტუგალიის** ჩემპიონატის ორშაბათის შეხვედრაში „პორტუმ" „ამადორასთან" 1:2 წააგო. ეს გუნდის მეორე წაგება გახლდათ მიმდინარე ჩემპიონატში, მაგრამ იგი მაინც ლიდერია და მეორე ადგილზე მყოფ „ბენფიკას" 10 ქულით უსწრებს.

**ესპანეთის** ჩემპიონატის ორშაბათის შეხვედრაში იტალიელი თავდამსხმელის კრისტიან ვიერის ორმა გოლმა მადრიდის „ატლეტიკოს" მიერ „ოვიედოს" 4:1 ძლევამოსილი როლი ითამაშა. მადრიდელები 2-ე წუთზე დაწინაურდნენ, როდესაც ხოსე მარი რომერომ თავური დარტყმით გახსნა ანგარიში. 10 წუთის შემდეგ ვიერიმ ანგარიში ორამდე გაზარდა და სიხარული მაისურის გახდით გამოხატა. აღმოჩნდა, რომ ვიერის თავისი მაისურის ქვეშ თანაგუნდელის, ჟუნინიოს მაისური ეცვა. ეს შემთხვევითობა არ გახლდათ, ამით მან ფეხმოტეხილი ბრაზილიელი მეგობარი გაამხნევა. მეორე ტაიმში, 66-ე წუთზე ვიერიმ კიდევ ერთი შეაგდო და სეზონში მის მიერ გატანილი გოლების რაოდენობა 13-მდე გაზარდა. ერთი ხნის შემდეგ მეტოქეთა პანამელმა თავდამსხმელმა დელი ვილდესმა მასპინძლებს გოლით უპასუხა, მაგრამ მოედანზე შემცვლელად შესულმა ველიკო პაუნოვიჩმა იმავე წუთას აღადგინა სამგოლიანი უპირატესობა. საგულისხმოა, რომ ამ შეხვედრის შემდეგ ესპანურმა გაზეთმა ფთ-მ გაავრცელა ცნობა, თითქოს მილანის „ინტერი" „ატლეტიკოს" ვიერიში თვით რონალდოს უცვლის. მეორე გაზეთის, „მარკას" ცნობით კი, სხვა ესპანური გუნდი „ვალენსია" თავის არგენტინელ გამთავაშებელს არიელ ორტეგას მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ 1,7 მილიარდ პესეტად გაჰყიდის. ორტეგა გასულ შაბათს, „ვალიადოლიდთან" შეხვედრის დროს მსაჯის ლანძღვისთვის მოედნიდან გააძევეს და ორთამაშიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. ფეხბურთელი სამშობლოში წავიდა. ცნობილია, რომ მას და გუნდის იტალიელ მწვრთნელს კლაუდიო რანიერის დიდი უთანხმოება აქვთ.

# აველანჟის სცენარში გრონდონას რეპლიკის დრო დადგა



ხულიო გრონდონა

არგენტინის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა ხულიო გრონდონამ უცნაური რამ განაცხადა, ჟოაო აველანჟმა ფიფას თავკაცობიდან გადადგომა რომ გადაიფიქროს, ცუდი არ იქნებაო. შეგახსენებთ, 82 წლის აველანჟი 24 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მსოფლიოს საფეხბურთო საქმეებს.

გრონდონა, ფიფას ვიცე-პრეზიდენტი და აველანჟის მარჯვენა ხელი, სააგენტო „როიტერის" კორესპონდენტს ტელეფონით ესაუბრა. 66 წლისამ ამ საუბრისას დაიწუნა წესი, რომლის თანახმადაც ფიფას თავკაცის არჩევნები მსოფლიოს ჩემპიონატის წელიწადს ემთხვევა. წლეულს, როგორც ადრეც გაუწყეთ, არჩევნები 8 ივნისს გაიმართება, მსოფლიოს პირველობა კი ორი დღის შემდეგ, 10-ში დაიწყება.

— პრეზიდენტს რომელიმე სხვა წელიწადს უნდა ვირჩევდეთ. საქმე ის გახლავთ, რომ თავს იყრის მრავალი პოლიტიკური დინება და მათთან გამკლავება ისეთ გადატვირთულ წელიწადს, მსოფლიოს ჩემპიონატისა რომ გახლავთ, უბრალოდ არ არის სწორი. მართალია, დღეს ამაზე არავინ ფიქრობს, მაგრამ ჩემი აზრით, არჩევნები ორიოდ წლით რომ გადავავადოთ მოსალოდნელ კონფლიქტებს ავიცილებთ თავიდან და ფიფას მთლიანობასა და ერთსულოვნებას შევინარჩუნებთ — თქვა გრონდონამ, რომელმაც კითხვაზე, თავად თუ აპირებთ საკუთარი კანდიდატურის წამოყენებასო, უპასუხა, რომ ფიფას პრეზიდენტობა არ აინტერესებს და ამის შესახებ მრავალჯერ განუცხადებია კიდეც.

გრონდონას სახელი პრეზიდენტის სავარძელთან გასული წლის ივლისში თავად აველანჟმა დააკავშირა. ბუენოს აირესში გამართულ პრეს-კონფერენციაზე მან განაცხადა, რომ არგენტინელი ჩინებულად გაუძღვებოდა საქმეს მისი გადადგომის შემდეგ.

— ხულიო ჩემი დიდი მეგობარია, ძმად მიმაჩნია. იგი დიდებული ლიდერია და პრეზიდენტობა რომ ისურვოს ჩემს მიერ წლობით გაკვალულ გზას ბრწყინვალედ განაგრძობს — თქვა მაშინ აველანჟმა.

მათთვის, ვისაც ფიფას მთავარ სავარძელში ჩაბრძანება სურს, განცხადების დასაწერად 7 აპრილამდეა ვადა, უკვე დაწერილი განცხადება კი ერთია, ლენარტ იუჰანსონისა. მოსალოდნელია, რომ იუჰანსონს მეტოქედ ფიფას გენერალური მდივანი ზეპ ბლატერი ეყოლება. მართალია ბლატერი ჯერ ბუნდოვნად ლაპარაკობს, ცოცხალი თავით არ ამბობს, აპირებს თუ არა თავისი კანდიდატურის წამოყენებას, მაგრამ ფაქტია, აველანჟი სწორედ მის კანდიდატურას დაუჭერს მხარს.

დამალული არაა, რომ ბლატერსა და იუჰანსონს ერთმანეთი გულზე არ ეხატებათ, ეს კი აველანჟის წისქვილზე ასხამს წყალს. აი, რა ხმამ გამოჟონა უეფადან:

— აველანჟს ორი ევროპელი მოღვაწის დაპირისპირება ხელს აძლევს. ის ამით ისარგებლებს, იტყვის, რომ ევროპელები საქმეს ჩხუბს აყოლებენ და სამხრეთამერიკელ და აფრიკა-აზიელ თანამებრძოლებს არჩევნების გადატანას მოათხოვნინებს. ხოლო თუ არჩევნები ერთი ან ორი წლით გადაიდო, ბრაზილიელი ფიფას პრეზიდენტად დარჩება და უდიდესი ძალაუფლებაც კვლავ მის ხელთ იქნება. ასეთია ტაქტიკური ჩანაფიქრი.

დავუბრუნდეთ გრონდონას ინტერვიუს. მან საპრეზიდენტო არჩევნების გარდა ისაუბრა სხვა თემებზეც, კერძოდ, ბრძანა, რომ დროა მსოფლიოს ჩემპიონატს აფრიკულმა ქვეყანამაც უმასპინძლოს და სამისოდ 2006 წელი მიიჩნია უპრიანად.

— მე არგენტინისა და ბრაზილიის ერთობლივ მასპინძლობასაც არ ვეწინააღმდეგები — დასძინა 1979 წლიდან არგენტინული ფეხბურთის თავკაცმა — მაგრამ თუ ეს გეგმა ჩაიშლება, მაშინ აფრიკელებს დავუჭერ მხარს.

მართლაც, საფეხბურთო წრეები ელიან, რომ 2006 წლის ჩემპიონატის სამასპინძლო განაცხადს სამხრეთ აფრიკა ძეიტახს და ინგლისისა და გერმანიის შემდეგ გახდება მისი მესამე მაძიებელი. ნაკლებად, მაგრამ მაინც დასაშვებია მაროკოელთა აქტიურობაც.

აღსანიშნავია, რომ „როიტერთან" სატელეფონო საუბრისას გრონდონა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ მასაჩუსეტსის ქალაქ საუთტონში იმყოფებოდა, სადაც სპორტული ტანსაცმლის მძლავრ ფირმასთან, „რიბოკთან" მრავალმილიონიანი ხელშეკრულება გააფორმა. ხელშეკრულება მომავალი წლის იანვარში შევა ძალაში.

— „რიბოკთან" კონტრაქტი არგენტინის ფეხბურთის ასოციაციას მომდევნო რვა წლის განმავლობაში სახეობის განსავითარებლად სოლიდურ ფინანსურ ბაზისს შეუქმნის. საგანგებო თანხას ახალგაზრდულ ფეხბურთს დავუთმობთ — დააგვირგვინა გრონდონამ.

## კონკაკაფის „ოქროს თასის" გათამაშება

# ფინალისტები ნახევარფინალში



ორშაბათს გვიან ღამით იამაიკამ ჯგუფის აუტსაიდერ სალვადორს 2:0 სძლია და ნახევარფინალში გავიდა. შედეგი ადვილად პროგნოზირებადი იყო, რადგან სალვადორის ნაკრებს ნამდვილად არ შესწევდა ძალა, წინააღმდეგობა გაეწია იამაიკელთათვის. ასე რომ, „ოქროს თასის" გათამაშებაში მონაწილე მსოფლიოს ჩემპიონატის ოთხი ფინალისტიდან, ოთხივე შემდეგ წრეში გავიდა — აშშ-მ, ბრაზილიამ და მექსიკამ ეს უფლება ადრევე მოიპოვეს.

იამაიკელთა და სალვადორელთა მატჩს რაც შეეხება, ფავორიტთა უპირატესობა აშკარა იყო და გეილს, ანაც ჰოლს კიდევ რომ ეხეირათ, უეჭველია იამაიკა გაცილებით დიდი ანგარიშით მოიგებდა. გამარჯვება ინგლისის გუნდებში მოთამაშე ლეგიონერებმა — „უიმბლდონის" მარკუს გეილმა და „პორტსმუთის" პიტრო სიმპსონმა განაპირობეს.

ანგარიში 40-ე წუთზე გაიხსნა — პოლ ჰოლის გარღვევა სალვადორელთა საჯარიმოში ჩაწოლებით დასრულდა. იქ სანტოს ნოელ რივერა შეცდა და გეილსაც არ გასჭირვებია უყურადღებო მეკარის დასჯა — 1:0. სხვაობის გაზრდა მხოლოდ შესვენების შემდგომ მოხერხდა — იამაიკელთა მორიგი შეტევა სალვადორელებმა აკრძალული ხერხებით შეაჩერეს. სრულიად სამართლიანი ჯარიმა სიმპსონმა გოლად გარდასახა. მან სალვადორელთა საკმაოდ დაბალ ცოცხალ კედელს გადააველო ბურთი და 25 მეტრიდან დარტყმული მეკარე სანტოს ნოელ რივერასთვის აუღებელი გახადა. მიმდინარეობდა 62-ე წუთი...

იამაიკელებმა ჯგუფური ტურნირის ბოლო შეხვედრა ამ შემადგენლობით ითამაშეს: ბარეტი, მალკომი (სინკლერი 78), დიქსონი, ბრაუნი, გუდისონი, დევისი, სიმპსონი, მესამი, უილიამსი (ბარტონი 46), ჰოლი, გეილი (ლოუი 74).

მატჩის შემდეგ ძლიერ გახარებულმა იამაიკელთა ბრაზილიელმა მწვრთნელმა განაცხადა, ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლა დიდი სტიმულია, სხვა თუ არაფერი, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებს, ბრაზილიას გადავასწარითო.

ახლა ნახევარფინალში იამაიკა მექსიკას დაუპირისპირდება, მასპინძლები — ამერიკელები კი ბრაზილიას შეხვდებიან.

ფინალი და მატჩი მესამე ადგილისთვის 15 თებერვალს გაიმართება.

## იტალია

### XX ტური

**ბოლონია 4:3 ბარი**

1:0 კოლივანოვი (16), 2:0 ბაჯო (35პ), 2:1 ბრესანი (39), 2:2 ვოლპი (56), 3:2 ბაჯო (75), 4:2 კოლივანოვი (79), 4:3 ბრესანი (88)

**ბრეშა 1:1 იუვენტუსი**

0:1 ინძაგი (51), 1:1 სავინო (70)

**ფიორენტინა 1:1 ინტერი**

0:1 რონალდო (26), 1:1 ბატისტუტა (43)

**ლაციო 3:1 ემპოლი**

1:0 ნედვედი (15), 1:1 კაპელინი (33), 2:1 ნედვედი (56), 3:1 გოტარდი (90)

**ლეჩე 1:3 რომა**

0:1 ბალბო (43პ), 0:2 დი ბიაჯო (45), 1:2 ატელკინი (78), 1:3 გაუტიერი (85)

**მილანი 0:0 უდინეზე**

**ნაპოლი 2:0 ვიჩენცა**

1:0 ტურინი (43პ), 2:0 სტოიაკი (52)

**პარმა 1:1 პიაჩენცა**

1:0 კრესპო (12პ), 1:1 ბუზო (27)

**სამპდორია 2:0 ატალანტა**

1:0 მიჰაილოვიჩი (65), 2:0 ბოგოსიანი (77)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 20 | 13 | 6 | 1 | 45:16 | 45 |
| ინტერი | 20 | 12 | 5 | 3 | 34:17 | 41 |
| ლაციო | 20 | 11 | 5 | 4 | 35:17 | 38 |
| უდინეზე | 20 | 11 | 5 | 4 | 39:26 | 38 |
| ფიორენტინა | 20 | 9 | 7 | 4 | 39:21 | 34 |
| პარმა | 20 | 9 | 7 | 4 | 33:20 | 34 |
| სამპდორია | 20 | 9 | 7 | 4 | 39:32 | 34 |
| რომა | 20 | 8 | 8 | 4 | 35:25 | 32 |
| მილანი | 20 | 7 | 7 | 6 | 22:20 | 28 |
| ბოლონია | 20 | 5 | 8 | 7 | 28:30 | 23 |
| ვიჩენცა | 20 | 6 | 5 | 9 | 21:37 | 23 |
| ბარი | 20 | 6 | 4 | 10 | 18:29 | 22 |
| ბრეშა | 20 | 6 | 3 | 11 | 26:32 | 21 |
| ემპოლი | 20 | 5 | 4 | 11 | 31:37 | 19 |
| პიაჩენცა | 20 | 3 | 10 | 7 | 16:24 | 19 |
| ატალანტა | 20 | 3 | 7 | 10 | 16:31 | 16 |
| ლეჩე | 20 | 3 | 2 | 15 | 14:45 | 11 |
| ნაპოლი | 20 | 2 | 4 | 14 | 15:47 | 10 |

## ჰოლანდია

### გამოტოვებული მატჩი

**ეინდჰოვენი 4:1 უტრეხტი**

0:1 ბუთი (18), 1:1 ზენდენი (26), 2:1 ოაიერი (39), 3:1 ზენდენი (83), 4:1 ნილისი (89)

## ესპანეთი

### თასის მეოთხედფინალი

საპასუხო მატჩები

*მალიორკა — ბილბაო 1:0 (პირველი მატჩი 1:2); დეპორტივო — ალავესი 0:0 (1:3); მერიდა — ბარსელონა 0:3 (0:2); ეტისი — სარაგოსა (0:3) დღეს გაიმართება*

## ინგლისი

### XXV ტურის ბოლო მატჩი

**კრ. პალასი 0:3 უიმბლდონი**

კრ. პალასი: მილერი, ედვორთი, გორდონი, რობერტსი, ლინიგენი, დაიერი, ჰრიდარსონი, ისმაელი (როჯერი 61), სმიტი, ბენტი (ჯინტი 67), ბროლინი

უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, ჯოუნსი, ბლეკველი, ტეტჩერი, პერი, პიუზი, ერდლი (კასტელდაინი 89), ლებერნი, ფეარი, იუელი (კლარკი 75)

0:1, 0:2 ლებერნი (42, 51), 0:3 იუელი (57)

„კრისტალ პალასმა" დანავსული სერია კვლავ გააგრძელა. პრემიერლიგაში აღზევების შემდეგ მას შინ ერთხელაც არ მოუგია.

## პირველი დივიზიონი

30-ე ტურის ბოლო მატჩი: ტრანმერი — სვინდონი 3:0.

## ამხანაგური მატჩები

**ინგლისი 0:2 ჩილე**

ინგლისი: მარტინი, გ. ნევილი, კემპბელი, ადამსი, ფ. ნევილი (ლე სო 46), დაბლინი, ბეტი (ინსი 63), ბათი, ლი, შერინგემი (შირერი 63), ოუენი

ჩილე: ტაპია, ვილიაროელი, რეიესი, ფუენტესი, მარგასი, როხასი, პარაგესი, აკუნა, სიერა (ვალენსუელა), ბარერა (კარენო 77), სალასი

0:1, 0:2 სალასი (45, 79)

**ინგლისი (B) 1:2 ჩილე (B)**

გუშინწინ ჩატარებულ ამ მატჩს მასპინძელთა ნაკრების მწვრთნელი გლენ ჰოდლიც ესწრებოდა. სტუმრებს მშრალად შეეძლოთ მოგება, მაგრამ ბოლო წამებზე ემილ ჰესკიმ გაიტანა და მანამდე ნიერას მიერ გატანილი ორი გოლიდან ერთი გაქვითა.

**ავსტრალია 1:0 კორეა**

1:0 ტაპაი (39)

# თეთრი ბურთი და შავი მოზურთალები

## აფრიკის თასი '98

ბიბლიოთეკა

### A ჯგუფი

**კამერუნი 2:2 გვინეა**

კამერუნი: სონგო, ეჩი, ნლენდი, მიმბო, კალა (ნჯიტეპი 22), ჩუტანგი (ჟობი 81), ჩამი, მბომა (იპუა 71), სიმო, ფოე, სონგი

გვინეა: დიალო (კ. კამარა 63), სილა, სოუ, მ. კამარა, ულარე, ა. კამარა, დრამე, ნგომი, ბანგურა, სუმა, დიაბატე

1:0 ჩამი (9), 2:0 ნლენდი (44), 2:1, 2:2 ულარე (46, 77)



ჯგუფის ლიდერთა მატჩი ჯერჯერობით ამ ტურნირზე ყველაზე კარგი სანახავი გამოდგა — გვინეის ნაკრებმა, რომელსაც უკრაინელი ვლადიმირ მუნტიანი წვრთნის, მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეთ გვარიანი წინააღმდეგობა გაუწია და სამი ქულიდან მხოლოდ ერთი არგუნა.

შეხვედრა ძალზედ უხეში გამოდგა. კაცმა რომ თქვას, გათამაშებაში არც ყოფილა მატჩი, უხეშობით რომ არ გამორჩეულიყოს, მაგრამ კამერუნმა ორი შეხვედრა ჩაატარა და ორივეში ამ მხრივ ერთობ „გამოიჩინა თავი". ამიტომაც არბიტრმა ლამის ნახევარი გუნდი გააფრთხილა. უხეშობა უხეშობად მაგრამ გვინეელთა მეკარის დიალოს საქციელი მართლაც გასაკვირია. მან სრულიად უწყინარ სიტუაციაში იმდენი ქნა სანამ არ გაიკვანძა — მომხდარის გამო შეცვალეს კიდეც. პირველ ტაიმში კამერუნელთა უპირატესობა იყო აშკარა, მეორეში — მუნტიანისგან შეგინებული გვინეელების. მათ 2:1-ზე გააყაიმეს კიდეც, მაგრამ კორეელმა მსაჯმა რატომღაც დრამეს ალალი გოლი არ ჩაუთვალა, თუმცა შემდგომ სამართალმა პური ჭამა.

**ბურკინა ფასო 2:1 ალჟირი**

ბურკინა ფასო: დიარა, ს. ტრაორე, სანუ (კულიბალი 76), კორეოგო (კუნდუ 56), ნანა, ი. ტრაორე, კამბუ, ზონგო, ლიადე, ტალე, ბარო (უდრუაგო 46),

ალჟირი: მეფტე, ზეგდუდი, ძირი, საიბი, ტასფუტი, კაჩი საიდი, ოსმანი, ბენზერგა (დალაბი 75), ჰამენიდი, ბენამარა, არშაში (ბენამლატი 82)

1:0 უდრუაგუ (65), 2:0 ს. ტრაორე (77), 2:1 საიბი (80პ)

მასპინძლები აფრიკის თასის გათამაშების ფინალურ ეტაპზე მხოლოდ მესამედ მონაწილეობენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, აქამდე ერთი შეხვედრაც არ მოეგოთ. მათ გამარჯვებას არც ამჯერად ელოდა ვინმე, მაგრამ ტურნირი მოულოდნელობის გარეშე ხომ არ ჩაივლიდა და აჰა, პირველი სენსაციაც.

მატჩმა საკმაოდ მაღალ ტემპში ჩაიარა, განსაკუთრებით კი მეორე ტაიმმა. სახიფათო მომენტები ხან ერთ, ხანაც მეორე კართან იქმნებოდა. ბურკინაფასოელ ლიადეს კი შეხვედრის მიწურულს რობერტო კარლოსის სტილში დარტყმული ჯარიმა რომ გაეტანა, სხვაობა უფრო დიდი იქნებოდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კამერუნი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| გვინეა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ბურკინა ფასო | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ალჟირი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |

### C ჯგუფი

**კოტ დივუარი 1:1 ს. აფრიკა**

კოტ დივუარი: გუამინი, ზერე, ენგენი, გუელი, ლასისი, დიაბატე, დომორო, დიბო (დიომანდი 46), სიე, ტიეი (უტარა 76), ბაკაიოკო (ტრაორე 76)

ს. აფრიკა: ბალუი, რაბუტლა, ნიატი, ჯექსონი, ფიში, რადებე, მოშოუ, მკალელე, საილენტი (მაკართი 70), ავგუსტინი (ნგობე 57), ნდლენია

0:1 მკალელე (83), 1:1 უტარა (88)

ძალიან შავი ფეხბურთელები, მათზე უარესი ზანგი მსაჯი და თეთრი ბურთი — აი ყველაფერი ის, რის გამოც ქალაქ ბობო დიულასოს სტადიონი თითქმის სავსე იყო. ცხადია, გულშემატკივრებს თავიანთი გუნდების გამარჯვება ეწადათ, მაგრამ მოხდა ისე, რომ მეტოქეებმა ქულები გაიყვეს. ისე, სად იყო სამართალი, თორემ კოტდივუარელებს თასის მფლობელები უნდა დაემარცხებინათ. მარტოტიეის და ბაკაიოკოს ჰქონდათ სამ-სამი რეალური საგოლე მომენტები, მაგარამ მათდა საუბედუროდ და სამხრეთაფრიკელთა გასახარად წითელ ფორმაში ჩატენილი ბალუი შესანიშნავად ირჯებოდა და თუ მის კარში გოლი არ გავიდა, სწორედ მისი თავგანწირული თამაშის შედეგია და არა მცველთა ყურადღებისა. მთელი მეორე ნახევარი სპილოს ძვლის ნაპირელთა უპირატესობა აშკარა იყო, მაგრამ სანამ შეცვლაზე შესული ახმახი უტარა მეტოქის დაცვაზე არ ამაღლდა და უძლიერესი თაურით არ გააყაიმა, მოწინააღმდეგე დარწმუნებული იყო, გაიმარჯვეო.

ჯგუფის მეორე შეხვედრა ანგოლასა და ნამიბიას შორის დღეს საღამოს შედგება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოტ დიუვარი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 4 |
| ს. აფრიკა | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ანგოლა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ნამიბია | 1 | 0 | 0 | 1 | 3:4 | 0 |

### D ჯგუფი

**ეგვიპტე 2:0 მოზამბიკი**

ეგვიპტე: ელ პაედი, გოტარი, ალ ბერჯი, ალ საედი, აჰმედი (აბდელაკი 58), იმამი, რამზი (ალ გეტორი 88), რადვანი, ალ ჰედრი, ჰასანი, ალალი

მოზამბიკი: ვვორა, რუშიუ, ებარუმი, მერტინიო (ვერბი 56), მალუანა, მესერიო (ტორინდა 46), ელევარო (მერიო 46), აველინო, კონდე, ელერო ვიო კოსტა

1:0, 2:0 ჰასანი (14, 45)

ამ შეხვედრით დასრულდა აფრიკის მორიგი თასის გათამაშების ჯგუფური ტურნირის პირველი ტურის მატჩები. ეგვიპტელები, რომელთაც თასი განას შემდეგ ყველაზე მეტჯერ, სამჯერ მოუგიათ, შეხვედრის უდავო ფავორიტებად ითვლებოდნენ და იმარჯვეს კიდეც.

„ფარაონებმა" (ეგვიპტელთა მეტსახელია) პორტუგალიის ყოფილ კოლონიას და ბრწყინვალე ეუსებიოს სამშობლო დიდი გაჭირვების გარეშე სძლიეს — ნაკრების კაპიტნის, ჰოსამ ჰასანის ორივე გოლი უფრო მეტოქის უყურადღებობის და მეკარეს რუი ევორას სულელური თამაშის შედეგი იყო, ვიდრე ეგვიპტელთა გააზრებული შეტევებისა. მიუხედავად ამისა აფრიკის თასის ს[illegible] გამარჯვებულებს ხეირიანი მომენტებიც ბლომად ჰქონდათ და რადვანს, ალ ჰედრის, ანაც იმავე ჰასანს დამაგვირგვინებელ ფაზებში აულელვებლად რომ ეთამაშათ, სხვაობა გაცილებით დიდი იქნებოდა, მაგრამ ესენიც და სხვებიც ევორასთან პირისპირ რომ გადიოდნენ, საკუთარ თავს არ უჯერებდნენ და მოზამბიკელთა მეკარეც ძლიერ ხეირობდა.

გოლებს რაც შეეხება, პირველი ჰასანმა მე-14 წუთზე შეაგდო — მეტოქის თავგზააბნეულ მცველ პინტო ბარუშს ჰაზემ იმამმა რეტი დაასხა და შემდეგ ძლიერადაც გაისროლა. მეკარე არ შედრკა, მაგრამ ვერც ბურთი მოიხელთა, თავსწამოპარულმა ჰასანმა კი არ დააყოვნა და ანგარიშიც გაიხსნა.

იმავე ჰასანმა მეორე შესვენებამდე რამდენიმე წამით ადრე გაიტანა — მეკარეს სულის მოსათქმელად გასახდელისკენ ეჭირა თვალი და როცა იასერ რადვანის საჯარიმოში ჩაკიდული ბურთს ჰკიდა თვალი, კარიდან გამოსვლა გვიანლა იყო. ჰასანმა ივაჟკაცა. 31 წლის თავდამსხმელი, როგორც ზემოთ ვთქვით, ცოტა გულდასმით რომ გარჯილიყო, თასის გათამაშების პირველ ჰეთ-თრიქსაც შეასრულებდა და ბომბარდირთა ლიდერიც შეიქნებოდა.

მატჩის შემდგომ ეგვიპტელთა მწვრთნელმა ალ გოჰარიმ, რომელიც ნაკრებს ჯერ კიდევ 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ხელმძღვანელობდა, განაცხადა, ჰასანის ნაკრებში დაბრუნებისთვის ბევრი მაკრიტიკებდა, მაგრამ მათ გასაგონად მინდა ვთქვა, რომ თუ კიდევ ჩაერევიან საქმეში გამომიჭედავენ ყურებს რჩევებით, უფრო ბევრჯერ შეცდებიანო.

ამ გამარჯვებით ეგვიპტელები ჯგუფის ლიდერებად იქცნენ, რადგან პირველ შეხვედრაში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტმა — მაროკომ და ზამბიამ ფრედ 1:1 ითამაშეს.

ლაშა გოდუაძე

# შეცდომის მსხვერპლი

ფიფას [illegible] ასოციაციამ, რომელსაც მალელი არბიტრი სიდი ბოკეი მაგასა მსოფლიოს ჩემპიონატზე ჰყავდა მიწვეული, ტურნირის მსაჯობისგან გაათავისუფლა. პარიზში გამართულ სხდომაზე ფიფა-ს მსაჯთა ასოციაციის წარმომადგენლებმა აფრიკის თასზე, სამხრეთ აფრიკას და ანგოლას შორის გამართულ მატჩში ბიკეი მაგასას მოქმედება სასტიკად გააკრიტიკეს და მსოფლიოს მატჩების განსჯის შესაძლებლობაც მოუსპეს. ეს მოხდა იმიტომ, რომ მე-17 წუთზე სამხრეთ-აფრიკელი ბენი მაკართი მეტოქე აურელიოსთან უხეში თამაშის გამო არ გააძევა და მხოლოდ გააფრთხილა. ამას გარდა არბიტრმა კიდევ რამდენიმე შეცდომაც დაუშვა. მსოფლიოს ჩემპიონატზე [illegible] მაგასას ნიგერიელი ლუსიენ ბუშარდუ შეცვლის.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XXIII ტური

13 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| კარლსრუე — დორტმუნდი | 2,5 | 2,7 | 2,4 |
| ვერდერი — დუისბურგი | 1,7 | 2,9 | 4,2 |
| კიოლნი — ჰამბურგი | 1,6 | 3,1 | 4,4 |

14 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| შტუტგარტი — კაიზერსლაუტერნი | 2,1 | 2,9 | 2,9 |
| ბოხუმი — მიონხენგლადბახი | 1,9 | 2,9 | 3,3 |
| მიუნხენი — ლევერკუზენი | 2,9 | 2,9 | 2,1 |
| შალკე — ვოლფსბურგი | 1,2 | 4,2 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| ჰანზა — არმინია | 1,5 | 3,1 | 5,6 |
| ჰერტა — ბაიერნი | 3,6 | 2,9 | 1,8 |

### გერმანიის ჩემპიონატი. მეორე ბუნდესლიგა. XVIII ტური

13 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ზანკტ პაული — ფიურტი | 1,6 | 3,0 | 4,7 |
| ცვიკაუ — მეპენი | 2,1 | 2,9 | 2,9 |
| ნიურნბერგი — გიუტერსლო | 1,9 | 2,8 | 3,4 |

15 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფორტუნა — ურდინგენი | 2,7 | 2,9 | 2,2 |
| ვატენშაიდი — კარლ ცაისი | 1,7 | 3,0 | 4,0 |
| კიკერსი — ლაიპციგი | 1,6 | 3,1 | 4,4 |
| კოტბუსი — ფრაიბურგი | 3,2 | 2,8 | 2,0 |
| მაინცი — უნტერჰახინგი | 2,0 | 2,7 | 3,2 |

16 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| დიუსელდორფი — აინტრახტი | 3,1 | 2,9 | 2,1 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXVI ტური

14 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ასტონ ვილა — ბარნსლი | 1,3 | 3,6 | 7,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |
| ბოლტონი — არსენალი | 3,4 | 2,8 | 1,9 |
| ჩელსი — კრისტალ პალასი | 1,25 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| ევერტონი — დერბი | 2,1 | 2,8 | 3,0 |
| ლიდსი — ბლექბერნი | 2,1 | 2,8 | 3,0 |
| შეფილდი — ლივერპული | 3,3 | 2,9 | 1,9 |
| საუთჰემპტონი — ქოვენტრი | 2,0 | 2,8 | 3,2 |
| ტოტენჰემი — ლესტერი | 3,4 | 2,8 | 1,9 |
| ვესტ ჰემი — მანჩესტერი | 2,4 | 3,0 | 2,3 |
| უიმბლდონი — ნიუკასლი | 2,4 | 3,0 | 2,3 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პირველი დივიზიონი. XXXI ტური

14 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩარლტონი — ვულვერჰემპტონი | 2,0 | 2,9 | 3,1 |
| ქრიუ — პორტსმუთი | 1,35 | 3,5 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| იფსვიჩი — ჰადერსფილდი | 1,5 | 3,2 | 5,3 |
| სიტი — ბერი | 1,2 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 2,7 |
| მიდლსბრო — ბრედფორდი | 1,2 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| ნოტინგემი — შეფილდი | 1,6 | 3,0 | 4,7 |
| ოქსფორდი — რედინგი | 1,8 | 2,9 | 3,6 |
| პორტ ველი — ნორვიჩი | 2,0 | 3,0 | 3,0 |
| სტოკპორტი — სტოკი | 1,6 | 3,0 | 4,7 |
| სანდერლენდი — ბირმინგემი | 1,25 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| ვესტ ბრომი — ქუინზ პარკი | 1,5 | 3,1 | 5,6 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. XXVI ტური

13 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბორდო — მონპელიე | 1,5 | 3,0 | 6,0 |
| მონაკო — ლე ავრი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |
| კანი — ბასტია | 2,4 | 2,8 | 2,4 |
| ლიონი — გინგამი | 1,4 | 3,3 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| მეცი — სტრასბური | 1,25 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |
| პსჟ — ნანტი | 1,2 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| ტულუზი — მარსელი | 3,2 | 2,8 | 2,0 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XXI ტური

15 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატალანტა — ნაპოლი | 1,3 | 3,8 | 6,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| ბარი — ლაციო | 3,2 | 2,8 | 2,0 |
| ემპოლი — ფიორენტინა | 2,5 | 2,9 | 2,3 |
| ინტერი — ლეჩე | 1,05 | 6,5 | 12,0 |
| 0:1 | 1,2 | 3,8 | 5,3 |
| იუვენტუსი — სამპდორია | 1,5 | 3,0 | 6,0 |
| პიაჩენცა — ბრეშა | 1,8 | 2,9 | 3,6 |
| რომა — ბოლონია | 1,3 | 3,6 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| უდინეზე — პარმა | 1,9 | 2,7 | 3,5 |
| ვიჩენცა — მილანი | 2,4 | 2,8 | 2,4 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XXII ტური

15 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| დი სანგრო — კალიარი | 3,2 | 2,8 | 2,0 |
| ფოჯა — ტორინო | 3,0 | 2,8 | 2,1 |
| ჯენოა — ანკონა | 1,5 | 3,1 | 5,6 |
| ლუკეზე — პერუჯა | 2,5 | 2,6 | 2,5 |
| პესკარა — ფ. ანდრია | 1,6 | 2,9 | 5,0 |
| რავენა — რეჯანა | 2,3 | 2,8 | 2,6 |
| სალერნიტანა — კიევო | 1,2 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 2,7 |
| ტრევიზო — რეჯინა | 1,8 | 2,8 | 3,8 |
| ვენეცია — მონცა | 1,2 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 2,7 |
| ვერონა — პადოვა | 1,4 | 3,4 | 6,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 8,0 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. პირველი დივიზიონი. XXV ტური

15 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| კომპოსტელა — ესპანიოლი | 2,1 | 2,9 | 2,9 |
| სარაგოსა — ბეტისი | 2,4 | 2,8 | 2,4 |
| მერიდა — ატლეტიკო | 3,1 | 2,9 | 2,0 |
| ოვიედო — სალამანკა | 1,5 | 3,1 | 5,6 |
| სელტა — სოსიედადი | 2,3 | 2,7 | 2,7 |
| ბილბაო — ვალენსია | 1,6 | 2,9 | 5,0 |
| ვალიადოლიდი — დეპორტივო | 2,3 | 2,8 | 2,6 |
| რეალი — სპორტინგი | 1,05 | 7,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,2 | 3,4 | 6,0 |
| რასინგი — ტენერიფე | 1,7 | 3,0 | 4,0 |
| ბარსელონა — მალიორკა | 1,35 | 3,5 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. მეორე დივიზიონი. XXVII ტური

15 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნუმანსია — ტოლედო | 1,9 | 2,8 | 3,4 |
| ვილიარეალი — ალბასეტე | 1,7 | 2,9 | 4,2 |
| რაიო — ეიბარი | 1,5 | 3,1 | 5,6 |
| ერკულესი — ლას პალმასი | 2,1 | 2,8 | 3,0 |
| ოსასუნა — ლეიდა | 1,8 | 2,8 | 3,8 |
| ლევანტე — ორენსე | 2,3 | 2,8 | 2,6 |
| ალავესი — ხაენი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |
| ლეგანესი — სერესი | 1,35 | 3,5 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| ატლეტიკო B — ელჩე | 1,3 | 3,6 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| სევილია — ესტრემადურა | 2,3 | 2,9 | 2,5 |
| ლოგრონიესი — ბადახოსი | 2,5 | 2,6 | 2,5 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. XXI ტური

15 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვარზიმი — კამპომაიორენსე | 2,0 | 2,9 | 3,1 |
| პორტუ — ლეცა | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |
| მარიტიმუ — სეტუბალი | 1,5 | 3,1 | 5,6 |
| სალგეირუში — აკადემიკა | 1,2 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 2,7 |
| ბენფიკა — რიუ ავე | 1,35 | 3,5 | 6,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |
| ბოავიშტა — სპორტინგი | 2,9 | 2,9 | 2,1 |
| გიმარაეში — ბრაგა | 1,35 | 3,6 | 6,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| შავეში — ფარენსე | 2,1 | 2,9 | 2,9 |
| ბელენენსეში — ამადორა | 2,1 | 2,9 | 2,9 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი

13 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| სიტარდი — ტილბურგი | 2,4 | 2,7 | 2,5 |

14 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრედა — მაასტრიხი | 1,4 | 3,3 | 6,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| ნაიმეგენი — გრონინგენი | 1,5 | 3,2 | 5,3 |
| როდა — ვალვაიკი | 1,3 | 3,8 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |
| გრააფსხაპი — ვიტესი | 2,7 | 2,9 | 2,2 |

15 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ეინდჰოვენი — აიაქსი | 2,4 | 2,7 | 2,5 |
| სპარტა — ჰერენვენი | 2,6 | 2,8 | 2,3 |
| ტვენტე — ფეიენოორდი | 3,3 | 2,9 | 1,9 |
| უტრეხტი — ვოლენდამი | 1,2 | 4,7 | 7,5 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |

### ბელგიის ჩემპიონატი. XX ტური

14 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ანდერლეხტი — სტანდარდი | 1,4 | 3,3 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| ლოკერენი — შარლერუა | 1,6 | 3,0 | 4,7 |
| ვესტერლო — ბევერენი | 1,5 | 3,3 | 5,0 |
| სტ. ტრუიდენი — მოლენბეკი | 1,3 | 3,8 | 6,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| ლომელი — ლიერსი | 1,7 | 2,9 | 4,2 |

15 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ეკერენი — მუსკრონი | 1,2 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| ბრიუგე — ანტვერპენი | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,2 | 4,0 |
| აალსტი — გენკი | 3,0 | 3,0 | 2,0 |
| ჰარელბეკი — გენტი | 1,45 | 3,3 | 5,6 |
| 0:1 | 2,2 | 3,2 | 1,9 |

### თურქეთის ჩემპიონატი. XXII ტური

13 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ისტანბულსფორი — ქოჯაელისფორი | 1,25 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |

14 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტრაბზონსფორი — ბეშიქთაში | 1,6 | 3,0 | 4,7 |

15 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| გალათასარაი — ფენერბაჩე | 2,1 | 2,9 | 2,9 |

### აფრიკის თასისა და ჰოკეისტთა ოლიმპიური ტურნირის შეხვედრათა კოეფიციენტებს ადგილზე გაეცნობით

### ტურში გატანილი გოლები:

| | | |
|---|---|---|
| გერმანია (23-ე) | 25 და ნაკლები — 1,9 | 27 და მეტი — 1,9 |
| ინგლისი (26-ე) | 25 და ნაკლები — 1,9 | 27 და მეტი — 1,9 |
| იტალია (21-ე) | 23 და ნაკლები — 1,9 | 25 და მეტი — 1,9 |
| ესპანეთი (25-ე) | 26 და ნაკლები — 1,9 | 28 და მეტი — 1,9 |

## CROCO-2

**ტირაჟი №05**

1. შტუტგარტი — კაიზერი
2. ბოხუმი — მიონხენგლადბახი
3. მიუნხენ 1860 — ლევერკუზენი
4. ჰერტა — ბაიერნი
5. ევერტონი — დერბი
6. ლიდსი — ბლექბერნი
7. საუთჰემპტონი — ლესტერი
8. უიმბლდონი — ნიუკასლი

**ტირაჟი №06**

1. ბარი — ლაციო
2. ემპოლი — ფიორენტინა
3. უდინეზე — პარმა
4. ვიჩენცა — მილანი
5. კომპოსტელა — ესპანიოლი
6. სარაგოსა — ბეტისი
7. მერიდა — ატლეტიკო
8. სელტა — სოსიედადი

ერთი ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე.

# სანაძის ტაიმმა სდასუს მერ შუშველა

ვერის ბაღი
საქართველოს მე-7 ჩემპიონატი
10 თებერვალი

### დინამო 95:60 დინამო 2

**დინამო:** მაისურაძე (16), ხოშტარია (10), მეჭურჭლიშვილი (10), ბეჟანიშვილი (17), კილაძე (10); ქევხიშვილი (7), შანიძე (9), ბერია (1), ნინიაშვილი (7), თორთლაძე (2), ჩიქოვანი (6)

**დინამო 2:** გრძელიშვილი (11), ხეცურიანი (11), ვეფხვაძე (6), მანველიშვილი, ფსუტური (16); მშვილდაძე (2), ნოზაძე (2), უჩუმბეგაშვილი, მეგრელაძე (12), სიხარულიძე

### ასკ 90:85 კოლხა

**ასკ:** დ. მოისწრაფიშვილი (15), ჭყონია (5), ჩხაიძე (21), თაბუაშვილი (8), მინაშვილი (22); მჭედლიშვილი (7), ქართველიშვილი (1), პაპასკირი (7), ნუცუბიძე (4)

**კოლხა:** ბერიშვილი (4), ქვილითაია (6), აბულაძე (2), კვაჭაძე (25), ცქიტიშვილი (9); თოდუა (2), ქარუმიძე (12), უგრეხელიძე (23), ვაშაკიძე, ძიძიგური

### აზოტი 97:93 სტუ

**აზოტი:** გაბისონია (10), კიკვიძე, ბოისა (14), ბერუაშვილი (17), ჯაფარიძე (34); გოგოლაძე (2), კოჭლამაზაშვილი (2), გოგობერიშვილი, ჩაჩუა (8), ჯიმშელეიშვილი (9)

**სტუ:** დ. ბერიშვილი (17), ი. ბერიშვილი (27), ხარაძე, ნოზაძე (27), სუხიშვილი (7); სპარსიაშვილი (2), ჩაჩუა (2), ბათხაძე (3), ლასარეიშვილი (6), მაჩაიძე (2)

სტუდენტებმა ძალზე კარგად ითამაშეს ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერთან და მეტად საპატიო ანგარიშით დამარცხდნენ.

11 თებერვალი

### აზოტი 116:71 შევარდენი

**აზოტი:** გაბისონია (11), კიკვიძე (3), ბოისა (22), ბერუაშვილი (8), ჯაფარიძე (22); გოგოლაძე (10), კოჭლამაზაშვილი (7), გოგობერიშვილი (20), ჩაჩუა (6), ჯიმშელეიშვილი (7)

**შევარდენი:** ორჯონიკიძე (18), კაზანჯიანი (18), არხიაშვილი (4), გიგაური (7), ღვინეფაძე (4); მესხი (3), ჩარგეიშვილი (13), ცაგა[illegible] (4)

რუსთაველელებს ხანგრძლივი ლიდერობისას, ეტყობა, სიფრთხილე მოუდუნდათ და „შევარდენმა" პირველი ტაიმი მოუგო კიდეც ლიდერს, მაგრამ მეორეში ჩვეულად ათამაშდნენ და მალევე დაამტკიცეს თავიანთი უპირატესობა.

### ვითა 91:80 ასკ

**ვითა:** გაგნიძე (2), აბრამიძე (13), ორმოცაძე (13), ჩუბინიძე (14), კორძაძე (4); კოკოლიშვილი (13), მიქაძე (11), მაჭარაძე, დავითულიანი (21)

**ასკ:** [illegible] მოისწრაფიშვილი (9), ჭყონია (3), ჩხაიძე (18), ნუცუბიძე (6), მინაშვილი (26); მჭედლიშვილი, ქართველიშვილი (5), პაპასკირი (13), თაბუაშვილი (7)

არმიელები თავიდან ბოლომდე მისდევდნენ ჩემპიონს, თუმცა ვითელები იტოვებდნენ რეზერვს, რათა მატჩის ბედი თავიანთ სასარგებლოდ გადაეწყვიტათ და შეხვედრის დასასრულს ასეც მოხდა. „ვითამ" მორიგი გამარჯვება მოიპოვა.

### დინამო 79:74 სდასუ

**დინამო:** მაისურაძე (15), ხოშტარია (15), ბეჟანიშვილი (19), კილაძე (17), ქევხიშვილი; თორთლაძე (1), შენგელია (12)

**სდასუ:** ჩერქეზიშვილი (13), ჩხეიძე (6), სანაძე (31), ოთიურიძე (12), დერიუგინი (6); ნაცვლიშვილი (2), ახობაძე, მგალობლიშვილი, მუშკუდიანი (4)

ანგარიში დინამოელებმა გახსნეს. სდასუ-მ უმალ უპასუხა და მეოთხე წუთამდე გუნდები ასე თუ ისე თანაბრად მიდიოდნენ. 9:5-ზე ანგარიში გაიყინა და გუნდებმა ორწუთნახევარი უშედეგო შეცვლებში გაატარეს. მერე დინამოელებმა აიწყვიტეს. მაისურაძემ და ხოშტარიამ სწრაფი გარღვევები განახორციელეს, ბეჟანიშვილს შორეული ტყორცნები წაუვიდა და მე-9 წუთზე სხვაობამ 14 ქულას მიაღწია 21:7. სდასუ ერთხანს გონს მოეგო და ჩხეიძემ, ოთიურიძემ და ნაცვლიშვილმა ზედიზედ შედეგიანად დაასრულეს შეტევები, მაგრამ დინამოელებმა ისევ [illegible] ... 29:13 გახდა, ხოლო მაისურაძის გარღვევას ტაიმის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე „დინამო" 20 ქულით გაჰყავს წინ. სდასუ-ს პირველ ტაიმში არაფერი გამოუვიდა. სანაძემ მხოლოდ ორი ქულა მოუტანა გუნდს, დერიუგინიც საიმედოდ ჩაიკეტეს მეტოქეებმაც და პირველი ნახევარი „დინამომ" აშკარა უპირატესობით მოიგო 44:25.

მეორე ნახევარი კილაძის სამქულიანით დაიწყო და შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ დინამოელები ძალიან მალე გადაწყვეტდნენ მატჩის ბედს, მაგრამ სდასუ-ს ორი მოთამაშე არ შეურიგდა მოვლენათა ასეთ განვითარებას — ჩერქეზიშვილი და სანაძე და მათ ამ უიმედო სიტუაციაში სცადეს მატჩის შემობრუნება. მათ ამ წამოწყებას კარგა ხანს არ უჩანდა სასიკეთო პირი, რადგან მე-5 წუთზე ხოშტარიას გასვლის შემდეგ სხვაობა უკვე 22 ქულას შეადგენდა. ჩერქეზიშვილი და სანაძე არ ისვენებენ და ძალების დიდი დაძაბვით ხუთი ქულით ამცირებენ სხვაობას, მაგრამ იქვე მაისურაძე ორჯერ ზედიზედ პარავს ბურთს მეტოქეებს და მატჩის დამთავრებამდე რვა წუთით ადრე ანგარიში 66:45-ია „დინამოს" სასარგებლოდ. თითქოს გასარკვევიც აღარაფერია, მაგრამ სდასუ-ს ჰყავს სანაძე — გიას გარღვევა, შემდეგ მისი სამქულიანი, ამას ოთიურიძეც უმატებს და 7.31 წუთით ადრე ანგარიში 66:54-ია. აქ ბეჟანიშვილი აგდებს ძალზე საჭირო მომენტში, მაგრამ სანაძე შეუჩერებელია, მისი ყოველი ტყორცნა შედეგიანია. სანაძეს პარტნიორებიც აჰყვნენ და ჩერქეზიშვილი და ჩხეიძე ზედიზედ ჭრიან გადაცემებს, თუმცა შეტევის დაგვირგვინებას მაინც გიას ანდობენ და სანაძეც აგდებს და აგდებს. 4,14 წუთით ადრე სანაძის სამქულიანი და 70:62. 3,32 წუთიღა იყო დარჩენილი, როცა სანაძის გარღვევის შემდეგ ანგარიში გახდა 70:66, შენგელიამ კაუჭით ჩააგდო და დინამოელებმა სხვაობის გაზრდა განიზრახეს, მაგრამ გზაში ისევ სანაძის სამქულიანი ეწევათ. 2,31 წუთით ადრე ანგარიში მინიმალურია 72:71 „დინამოს" სასარგებლოდ. ხოშტარიას 2 ჯარიმა და კვლავ სანაძის სამქულიანი — 74:74. მატჩის დამთავრებამდე 1.20 წუთი — ბეჟანიშვილი ათავსებს ბურთს კალათში. მერე ჩერქეზიშვილის გარღვევა, ნიკოს შეეძლო თვითონვე დაეგვირგვინებინა შეტევა, მაგრამ ისევ სანაძეზე ითამაშა და ბოლოს და ბოლოს გიას ნატყორცნიც ასცდა კალათს. „დინამომ" მაინც არ გაუშვა ხელიდან გამარჯვება.

**გია აგლაძე**

მდგომარეობა 12 თებერვლისათვის

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 22 | 22 | 0 | 2306:1728 | 44 |
| დინამო | 22 | 18 | 4 | 2200:1727 | 40 |
| ვითა | 21 | 18 | 3 | 1930:1738 | 39 |
| სდასუ | 21 | 16 | 5 | 2004:1587 | 37 |
| თსუ | 21 | 15 | 6 | 1981:1748 | 36 |
| შევარდენი | 21 | 10 | 11 | 1824:1862 | 31 |
| მაკაბი | 21 | 8 | 13 | 1729:1817 | 29 |
| სტუ | 20 | 6 | 14 | 1649:1800 | 26 |
| დინამო 2 | 20 | 6 | 14 | 1523:1798 | 26 |
| კოლხა | 20 | 1 | 19 | 1564:1852 | 21 |
| მერანი | 20 | 0 | 20 | 1336:2045 | 20 |
| რიონი | 17 | 2 | 15 | 1162:1652 | 19 |

დღეს ერთმანეთს ხვდებიან

13.00 დინამო 2 — მერანი
14.30 კოლხა — თსუ
16.00 სტუ — მაკაბი


სანაძეს (7) სროლა წაუვიდა

გურამ [illegible] ფოტო

რეგულარული ჩემპიონატი

# შაკ, დაილალე?

### ინდიანა 85:66 ორლანდო

**ინდიანა:** მილერი (16), სმიტსი (16)
**ორლანდო:** ანდერსონი (16)

მუხლზე გადატანილი ოპერაციის გამო ორთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ პენი ჰარდევეის ძირითად ხუთეულში დაბრუნება მეტად ხანმოკლე გამოდგა — პირველი მეოთხედის დამთავრებამდე 1 წუთით ადრე ტრევის ბესტთან შეძახებისას მან მარცხენა ქუსლის კუნთი დაიზიანა და რამდენიმე დღით ისევ დასვენება მოუწევს. ანფერნისთან ერთად წყობიდან ორლანდოს თავდასხმაც გამოვიდა, რომელმაც 22-წლიან ისტორიაში ინდიანას ყველაზე ნაკლები ქულა ჩაუგდო.

### ნიუ ჯერსი 90:81 დალასი

**ნიუ ჯერსი:** კასელი (26), ვან ჰორნი (17)
**დალასი:** ფინლი (26), რივსი (24)

### ჰიუსტონი 97:83 სიეტლი

**ჰიუსტონი:** დრექსლერი (19), ბარკლი (12+21 მოხსნა)
**სიეტლი:** პეიტონი (20), ბეიკერი (15)

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მესამედ მოხდა რომ ჩარლზ ბარკლიმ შეხვედრა სასტარტო ხუთეულში კი არ დაიწყო, შეცვლაზე შემოვიდა, თანაც საკუთარი მოთხოვნით. „ამას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარი კარგად თამაშია" — განაცხადა 1993 წლის სეზონის MVP-მ, რომელმაც NBA-ში საუკეთესო მაჩვენებლის მქონე გუნდი ფარიდან მოხსნებში ლამის მარტომ დაჩაგრა და მესამე მეოთხედში თავისიანთა 11-ქულიანი გაქცევის სულისჩამდგმელად იქცა.

### მილუოკი 100:108 ატლანტა

**მილუოკი:** ალენი (28), რობინსონი (24)
**ატლანტა:** სმიტი (27), ბლეილოკი (20+12 პასი)

ატლანტის მწვრთნელმა ლენი უილკინსმა თავის 1100-ე გამარჯვება კრისტიან ლეიტნერის, ელდრიჯ რაკასნერის და ედ გრეის გარეშე მოიპოვა. ატლანტელმა თავის მხრივ ძირითადი გამთამაშებლის — ტირელ ბრენდონის გარეშე დარჩენილ მილუოკის ბოლო მატჩის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე მოუღეს, როდესაც ოლსტარელი სტივ სმიტის მეთაურობით უპასუხო 8 ქულა მიითვალეს.

### ფინიქსი 88:86 საკრამენტო

**ფინიქსი:** კიდი (21+8 მოხსნა + პასი), მაკდაიესი (16), ჩეპმენი (16)
**საკრამენტო:** უილიამსონი (26)

NBA-ს წლის საუკეთესო ტყორცნისთვის ჯილდოს მიღებიდან ერთი დღის შემდეგ რექს ჩეპმენმა თავისი გუნდი ისევ იხსნა — ძირითადი დროის დამთავრებამდე 1,8 წამით ადრე სამქულიანი ხაზის შიგნიდან ნახტომში, ცალი ხელით ნასროლი ბურთი ჩააგდო. წესით ფინიქსს საქმე აქამდე არ უნდა მიეყვანა, მაგრამ მესამე მეოთხედის დასაწყისში საკრამენტოს ლიდერი — მიჩ რიჩმონდი მეორე ტექნიკურისთვის მოედნიდან რომ მიაბრძანეს, ზედმეტად მოეშვნენ და უპირატესობის გაზრდის ნაცვლად მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცეს. მატჩის გმირმა კი თავმდაბლურად განაცხადა, მანამდე უფრო იოლი სროლები რომ არ ამეცილებინა, დამთავრებამდე ორი წამით ადრე გარჯა აღარ დამჭირდებოდაო.

### პორტლენდი 117:105 ლეიკერსი

**პორტლენდი:** რაიდერი (24), ტრენტი (19), ანდერსონი (17+9 პასი)
**ლეიკერსი:** ონილი (31+12 მოხსნა), ბრაიანტი (17)

ოლსტარელების — ონილისა და საკუთარი გუნდის ძირითადში პირველად მოხვედრილი კობი ბრაიანტის მეთაურობით ლეიკერსმა მატჩის დამთავრებამდე 2,27 წუთით ადრე მეოთხე მეოთხედის 31-ქულიანი ჩამორჩენა ხუთამდე დაიყვანა, მაგრამ სასწაული მაინც არ მოხდა და პორტლენდელი ვინსენტ ესკიუს სამქულიანმა ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა. ბლეიზერსის ლიდერმა აზია რაიდერმა, რომელიც პირველ მეოთხედში ვარჯიშზე დაგვიანების გამო სათადარიგოთა სკამზე იჯდა, შესანიშნავად ჩატარებული შეხვედრა მორიგი გამოხტომით დაასრულა — მწვრთნელს, მაიკ დანლივის, ბოლო მეოთხედში ჩხუბი აუტეხა და გასახდელში უკანმოუხედავად გავარდა. შაკილ ონილმა 10000-ქულიანი ზღვარი გადალახა, (370 მატჩში) თუმცა განაცხადა, ჩემთვის ეგ არაფერს ნიშნავს, ჩემპიონის ბეჭედს მოვიპოვებ თუ არა, პენსიაზე გავალ და ბავშვების გაზრდაზე ვიზრუნებო.

### კლივლენდი 81:91 მაიამი

**კლივლენდი:** ჰენდერსონი (18), მაიამი (15)
**მაიამი:** მაშბურნი (21), მურნინგი (16)


ჩარლზ ბარკლი

### ნიუ იორკი 99:91 შარლოტი

**ნიუ იორკი:** სტარკსი (26), ჰიუსტონი (21)
**შარლოტი:** მაქსველი (22)

შარლოტელი ენტონი მეისონისთვის ეს პირველი შეხვედრა იყო მას შემდეგ, რაც 14 და 15 წლის დების გაუპატიურებაში დასდეს ბრალი. ნიუიორკელები თანაქალაქელსა და ყოფილ ნიქსელს სტვენით დახვდნენ, თუმცა, ყოფილი თანაგუნდელები — ჩარლზ ოუკლი და ჩარლი უორდი მატჩის დაწყებამდე გამამხნევებლად გადაეხვივნენ. რაც შეეხება შეხვედრას, როგორც ყოველთვის, შარლოტელთა ლიდერი გლენ რაისი, ნიუ იორკთან უფერულად გამოიყურებოდა (12 ქულა) და სტუმართა რიგებში ყველაზე მეტი ქულა 10-დღიანი კონტრაქტით მოთამაშე ვერნონ მაქსველმა მიითვალა.

### ჩიკაგო 93:86 ტორონტო

**ჩიკაგო:** კუკოჩი (21+10 მოხსნა), ლონგლი (19)
**ტორონტო:** სტუდემაიერი (19)

დასავლეთ კონფერენციის მწვრთნელმა — ჯორჯ კარლმა მეოთხე მეოთხედში კობი ბრაიანტის მოედნიდან გაყვანით მიაკლ ჯორდანს „ოლ სტარის" MVP-ობა კი მოაპოვებინა, მაგრამ ამით ატეხილმა მითქმა-მოთქმამ ჩიკაგოს ლიდერის რეპუტაცია ნამეტნავად აზარალა. ჯორდანმა აფისმთქმელებს ტორონტოსთან ჩატარებული მატჩის შემდეგ კიდევ უფრო მეტი სალაპარაკო გაუჩინა — 21 სროლიდან მხოლოდ შვიდი ჩააგდო, 5 საჯარიმოდან 3 აცილა, თანაც რეჯი სლეიტერთან შეტაკების შემდეგ ცხვირიდან სისხლიც წასკდა. ფილ ჯექსონმა მთავარი ხარი მეოთხე მეოთხედში სათადარიგოთა სკამზე მიაბრძანა, ჩიკაგო კი ზურგის ტრავმით შეჭირვებულმა ტონი კუკოჩმა გადაარჩინა, რომელმაც ბოლო მეოთხედში 19 ქულა მიითვალა.

### დენვერი 112:99 ბოსტონი

**დენვერი:** ნიუმენი (34), ლ. ელისი (19)
**ბოსტონი:** მერსერი (19)

### იუტა 106:98 კლიპერსი

**იუტა:** მელოუნი (29), ჰორნაჩეკი (21)
**კლიპერსი:** ჟ. რობინსონი (22), პიატკოვსკი (18)

### გოლდენ სტ. 87:99 ვაშინგტონი

**გოლდენ სტეიტი:** სმიტი (36)
**ვაშინგტონი:** მიურეი (50), სტრიკლენდი (21+20 პასი +12 მოხსნა)

გუნდის ბომბარდირების — კრის უებერისა და ჯუონ ჰოვარდის არყოფნაში ვაშინგტონელმა ტრეისი მიურეიმ თავისი კარიერისა და NBA-ს სეზონის რეკორდი დაამყარა 50 ქულით. კალათბურთის უძლიერეს ლიგაში გასული წლის 12 აპრილის შემდეგ, როდესაც ფილადელფიელმა ალან აივერსონმა კლივლენდს 50 ქულა ჩაუგდო, ამდენი არავის დაუგროვებია. მიურეის ყველა პასი როდ [illegible] ლენდმა გაუ[illegible], [illegible] კარიერაში მესამე ტრიპლ-დაბლი მიითვალა. სხვათა შორის, სტრიკლენდი და მიურეი სეზონის დასაწყისში გვარიანი თანხით დააჯარიმეს იმის გამო, რომ ერთმანეთს ცხვირპირი დაულეწეს. მიურეის კი ამავე დარბაზში ერთხელ 64 ქულაც გაუხერხებია, ოღონდ კოლეჯში სწავლის დროს.

**ავთანდილ სვანიძე**

ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

მოგეხსენებათ, პირველად ნჰლ-ის ისტორიაში, ნაგანოს ოლიმპიადის გამო ჩემპიონატი შეწყდა. 7-დან 25 თებერვლამდე არც ერთი თამაში არ ჩატარდება და ოკეანისგაღმელი მაყურებელიც იაპონიას, კერძოდ, ექვსი „ოცნების გუნდის" ჰაექრობას მიაპყრობს ყურადღებას. ცხადია, ვარსკვლავები სხვადასხვა განწყობით მიემგზავრებიან ნაგანოში. მაგალითად, დალასელ მოდანოს (აშშ), ნიუჯერსელ ბროდოს (კანადა), ანაც კოლორადოელ ფორსბერგს (შვედეთი) არხეინად შეუძლიათ ასპარეზობა ოლიმპიურ ტურნირში, რადგან მათმა გუნდებმა, ფაქტობრივად, უკვე გაინაღდეს პლეი-ოფში გასვლა. თუმცა, არც ტამპელებმა — რენბერგმა (შვედეთი) და ზამუნერმა (კანადა) უნდა შეიწუხონ მაინცდამაინც თავი ნჰლ-ზე ფიქრით, რადგან „ელვების" მდგომარეობა ისედაც უიმედოა. მიუხედავად ამისა, ოლიმპიელთა უმეტესობა, ქვეყნის ღირსების დაცვის გარდა, საჩემპიონატოდ ფორმის შენარჩუნებაზეც იზრუნებს, რადგან დაბრუნებისას მათ სტენლის თასის ფინალში გასასვლელად ბრძოლა ელით.

## პატრიოტული არდადეგები

თუმცა, იმედია, ნჰლ-ელები, როგორც ნამდვილი პროფესიონალები, ნაგანოში თავს არ დაზოგავენ, ხოლო საიმისოდ, რათა უკეთ დარწმუნდეთ ოლიმპიელთა ოსტატობაში, გთავაზობთ რეგულარული ჩემპიონატის სტატისტიკას.

**ბომბარდირები:** სელიანე (ანაჰაიმი) 68 (41+27), იაგრი (პიტსბურგი) 67(25+42), ფორსბერგი (კოლორადო) 66(20+46), ლეკლერი 64(38+26), ლინდროსი (ორივე — ფილადელფია) 64(25+39), ბურე (ვანკუვერი) 60(34+26), ფრენსისი (პიტსბურგი) 59(16+43), ტკაჩუკი (ფინიქსი) 57(35+22), საკიკი (კოლორადო) 57(24+33), ოუთსი 57(13+44), ბონდრა (ორივე — ვაშინგტონი) 56(36+20), რექი (მონრეალი) 56(17+39), ფლერი (კალგარი) 56(18+38), შტუმპელი (ლოს ანჯელესი) 56(17+39), გრეცკი 56(13+43), ლაფონტენი (ორივე — რეინჯერსი) 54(20+34), პალფი (აილენდერსი) 53(30+23), ელისონი (ბოსტონი) და ამონტე (ჩიკაგო) 53(20+33), მოდანო (დალასი) 52(19+33)

**სნაიპერები:** სელიანე 41, ლეკლერი 38, ბონდრა 36, ტკაჩუკი და ფრენსისი 43, ბურე 34, პალფი 30, იაგრი, ლინდროსი, ბრინდამორი (ფილადელფია), რექი 25

**ასისტენტები:** ფორსბერგი 46, ოუთსი 44, გრეცკი და ფრენსისი 43, იაგრი 42, ლინდროსი, შტუმპელი, ჯენი (ფინიქსი) 39, ბუბოვი (დალასი) და ფლერი 38

**ნაყოფიერების კოეფიციენტი:** პრონგერი (სენტ ლუისი) +32, ლეკლერი +26, ჰოლიკი და მაკეი (ორივე — ნიუ ჯერსი) +25, მოდანო (დალასი) +24, ნუმინენი (ფინიქსი) +23, ზუბრუსი (ფილადელფია) +22, მერფი (დეტროიტი) +21

**ახალბედები:** ჯონსონი (ტორონტო) 35(11+24), შტურმი (სან ხოსე) 27(10+17), ელიაში (ნიუ ჯერსი) 25(15+10), სამსონოვი (ბოსტონი) 25(11+14), ბედნიკი (ვაშინგტონი) 23(14+9), ოლუნდი (ვანკუვერი) 21(4+17)

**დარტყმები:** საკიკი 228, ბურე 223, ლეკლერი 207, სელიანე 206, ამონტე (ჩიკაგო) 205, იაშინი (ოტავა) 200

ჩრდილო აღმოსავლეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პიტსბურგი | 58 | 29 | 13 | 16 | 160:132 | 71 |
| მონრეალი | 56 | 28 | 7 | 21 | 168:141 | 63 |
| ბოსტონი | 56 | 23 | 11 | 22 | 140:138 | 57 |
| ოტავა | 58 | 23 | 10 | 25 | 130:140 | 56 |
| ბუფალო | 55 | 22 | 12 | 21 | 143:138 | 56 |
| კაროლინა | 57 | 21 | 7 | 29 | 139:161 | 49 |

ატლანტიკა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 56 | 34 | 6 | 16 | 158:110 | 74 |
| ფილადელფია | 55 | 29 | 9 | 17 | 160:123 | 67 |
| ვაშინგტონი | 56 | 26 | 11 | 19 | 156:143 | 63 |
| რეინჯერსი | 57 | 17 | 16 | 24 | 140:154 | 50 |
| აილენდერსი | 57 | 20 | 8 | 29 | 148:158 | 48 |
| ფლორიდა | 57 | 18 | 12 | 27 | 138:160 | 48 |
| ტამპა | 56 | 10 | 9 | 37 | 104:185 | 29 |

ცენტრი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 57 | 36 | 8 | 13 | 174:115 | 80 |
| დეტროიტი | 58 | 31 | 12 | 15 | 177:136 | 74 |
| სენტ ლუისი | 59 | 30 | 8 | 21 | 173:145 | 68 |
| ფინიქსი | 57 | 24 | 11 | 22 | 162:159 | 59 |
| ჩიკაგო | 56 | 22 | 9 | 25 | 134:133 | 53 |
| ტორონტო | [illegible] | [illegible] | 7 | 29 | 129:162 | 45 |

წყნარი ოკეანე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლორადო | 58 | 29 | 16 | 13 | 172:138 | 74 |
| ლოს ანჯელესი | 55 | 26 | 9 | 20 | 161:146 | 61 |
| სან ხოსე | 56 | 21 | 7 | 28 | 139:152 | 49 |
| ედმონტონი | 57 | 19 | 10 | 28 | 141:164 | 48 |
| ანაჰაიმი | 56 | 19 | 9 | 28 | 137:170 | 47 |
| კალგარი | 57 | 16 | 11 | 30 | 149:179 | 43 |
| ვანკუვერი | 57 | 16 | 8 | 33 | 153:203 | 40 |

# აშშ, ქარმა რა დამართა

ერთი კვირა ელოდნენ გარსაქვეყნო ნაოსნობის მონაწილენი რიგიან ქარს. და აი, შაბათს ფლოტი როგორც იქნა მოხვდა დაბალი ატმოსფერული წნევის ზონაში და ისე გაქროლდა, რომ მავან ნავებს თავ-ბედი საწყეველი გაუხდათ.

უქაროდ ანაპოლისელ მოყვარულთა ნავი „ჩესი" და ბობოლა დენის კონერის „ტოშიბა" რიგ-რიგობით ლიდერობდნენ. წინ ის გადიოდა, ვინაც ნიავს მოიხელთებდა ხოლმე. ნავიგატორები ამინდის პროგნოზს საგულდაგულოდ სწავლობდნენ და დიდი მკითხაობაც გაემართათ იმის გამო, თუ სამხრეთით რამდენად გაეტიათ.

ნაოსნობისწინა ფავორიტ „სილკ კატს" პირველი ფათერაკი ჯერ კიდევ ზღაზვნით ცურვისას შეემთხვა: წინა ხუთშაბათს ქიმი დაიზიანა, მაგრამ წყალს ნავში ჟონვა არ დაუწყია. ისე კი, ლორი სმითის ბიჭებს თუ „ვიტბრედში" გამარჯვება სურთ, სტადია უეჭველად უნდა მოიგონ, რადგან ლიდერებს ქულებით გვარიანად ჩამორჩებიან.

მართლაც, ბრიტთა ნავი პოზიციების კვირის მოკითხვისას უკვე წინ იყო, მაგრამ მალევე ნაოსნობის ლიდერი და ორი სტადიის გამარჯვებული „ლენგვიჯი" დაწინაურდა და მას აქეთ შეუქცევლად ზრდის უპირატესობას. პოლ კეიარდს, ხომ ნავიც საუკეთესო ჰყავს და გუნდშიც ისეთი უნივერსალები შეუკრებია, რომ მათგან ერთბაშად ექვს კაცს ეხერხება საჭესთან დგომა, რისი წყალობითაც მეტოქეებზე უკეთ ისვენებენ.



ქარმა ავარიები გაამრავლა. „სვიდიშ მეჩს" ქარმზომი გაუტყდა, რაც ნავისთვის იგივეა, რაც ადამიანისთვის დაყრუება. სამაგიეროდ, გუნარ კრანცის შეგირდები ერთობ ემადლიერებიან ლუმელებს, ოკლენდში რომ შეუძენიათ თოშიან სამხრეთ ოკეანეში ნაოსნობისთვის.

ქალების ნავ „ედუკეიშენს" შაბათღამ ანძის დამჭიმავი ბაგირი მოუგლიჯა ქარმა. ზღვაც მეტისმეტად ატორტმანებდა იახტას, მაგრამ ორი დიაცი მაინც აცოცდა ანძაზე და დაზიანება სახელდახელოდ აღმოფხვა. ასე რომ არ ექნათ, „ინოვეიშენის" მხარდამხარ მონაოსნემოარშიყე გოგოებს შუაგული ოკეანიდან ჩეტემის კუნძულებზე მიბრუნება მოუხდებოდათ, იქაურობას კი ავარიის მომენტში უკვე 750 მილით დაშორებულიყვნენ.

დიაცთა ფარსაგი მონაგონია იმასთან, რაც სამშაბათს, ისევ და ისევ „სილკ კატს" შეემთხვა. ჯერ იყო და ნავი მცურავ ყინულს დაეჯახა, მაგრამ ოდენ კორპუსი დაეკაწრა. მერე იყო და გრინვიჩულად 08:47 საათზე 30-კვანძა ქარბუქში ანძას ზედა ნახევარი მოტყდა. ბედად არავინ დაშავებულა, მაგრამ ეკიპაჟი სპინაკერის ამარა დარჩა და თუ მანამდე მესამე ადგილზე იყო, ერთ დღე-ღამეში ისე ჩამორჩა, რომ მერვე ადგილზე გადავიდა. მეოთხე გარსაქვეყნო ნაოსნობაში ჩაბმული სმითი სამხრეთი ამერიკის მიღწევის შემდეგლა აპირებს იახტის საფუძვლიან შეკეთებას.

მიხო ნინუა

### ვიტბრედის VII გარსაქვეყნო ნაოსნობა ვოლვოს თასზე

Whitbread

V სტადია. ოკლენდი (ზელანდია) — სან-სებასტიანი (ბრაზილია). 1 - 23 თებერვალი (6 670 მილი)

პოზიციები გრინვიჩის დროით 06:00 საათზე

| იახტა | დროშა | ქ | სკიპერი | 6-II | 7-II | 8-II | 9-II | 10-II | 11-II |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ი-ეფ ლენგვიჯ | შვედეთი | 372 | პოლ კეიარდი (აშშ) | +22.4 | +27.7 | +0.3 | 4507.5 | 4101 | 3678.8 |
| სვიდიშ მეჩ | შვედეთი | 313 | გუნარ კრანცი | +12.6 | +13.8 | +3.4 | +9.1 | +11.9 | +37.8 |
| მერიტ კაპ | მონაკო | 333 | გრანტ დოლტონი (ზელ) | +23.9 | +23.9 | +29.9 | +23.8 | +34.7 | +71.8 |
| ტოშიბა | აშშ | 299 | პოლ სტენდბრიჯი (ბრიტ) | 5459.6 | 5203.9 | +9.2 | +34 | +46.2 | +73.3 |
| ინოვეიშენ კვერნერ | ნორვეგია | 307 | კნუტ ფროსტადი | +95. | +89.8 | +91.7 | +88.2 | +80.7 | +122.7 |
| ჩესი რეისინგ | აშშ | 294 | დიი სმითი | +24.1 | +27.5 | +26 | +58.6 | +86.7 | +134.7 |
| ბრიუნელსანერჯი | ჰოლანდია | 96 | როი პაინერი | +153 | +133.2 | +145 | +132.6 | +144.7 | +180.5 |
| სილკ კატ | ბრიტანეთი | 258 | ლორი სმითი | +22 | +23.5 | 4848.8 | +19 | +34.2 | +293.5 |
| ი-ეფ ედუკეიშენ | შვედეთი | 100 | ქ-ნი კრისტინ გიუ (საფრ) | +98.9 | +116.7 | +339.6 | +476.4 | +651 | +881.3 |





ფილტვების ანთება მოურჩა ფინელ ტომი მაკინენს. კაცი იანვარში სიცხიანი ჩაება მსოფლიო პირველობის პირველ, მონტე-კარლოს რალში, საწყისი დღის შემდეგ დამაჯერებლადაც ლიდერობდა, მაგრამ მერე მანქანა გზიდან გადაუვარდა და დაემტვრა.

კვირას მსოფლიოს შარშანდელმა და შარშანწინდელმა ჩემპიონმა ფრიადი კლასი შვედეთის რალში დაამტკიცა. ეს რალი უნიკალურია იმით, რომ პირველობის პროგრამაში შეტანილთაგან ერთადერთია, დათოვლილსა და მოყინულ გზებზე რომ იმართება.

შვედეთის რალს სახელოვანი ისტორია აქვს. ნიშანდობლივია, რომ იგი სამხრეთელ მძღოლს არასოდეს მოუგია. მონტე-კარლოს წლევანდელი გამარჯვებული, ესპანელი საინსი კარლსტადის მიდამოებში ახალი „ტოიოტათი" წარსდგა, მაგრამ პირველსავე დღეს, პარასკევს საბურავები სწორად ვერ შეარჩია და I მონაკვეთზე დაწინაურების შემდეგ თანდათან ჩამორჩა.

საინსთან ამ მონაკვეთზე სულ ნახევარი წამი (!) წააგო მასპინძელმა თომას რადსტრომმა, ვისაც მშობლიურ

# შვედეთის მეფე მაკინენი

გარემოში 1994 წელს რომ გაუმარჯვია, „ტოიოტამ" ამად შეიყვანა განაცხადში მეორე ნომრად. რადსტომმა დღის მომდევნო მონაკვეთებზე იშვიათი მარიფათი გამოავლინა, ისარგებლა იმით, რომ მის წინ მრბოლებმა თოვლი გატკეპნეს, და 6 (!) მოიგო, მაგრამ არც მაკინენი იყო ჯაბანი და ლიდერს ოდენ 24 წამით ჩამორჩა.

მაკინენი აღტაცებული იყო რადსტრომის რალობით, მაგრამ იმასაც ამბობდა, სავალი კვლავაც ბევრი რჩებაო. მართლაც, შაბათს, იუტბოს მიდამოში გამავალ 47-კილომეტრა XII მონაკვეთზე თომასი გზიდან გადავიდა, დაზვინებულ თოვლში შევარდა, რადიატორი დაიზიანა, ძრავი გადაუხურდა და შეჯიბრიდან გავარდა. არადა, შვედი ამ დროს 32 წამს უგებდა ფინელს. გარდა ამისა, რადსტრომის გამოკლებით „ტოიოტამ" გუნდურ პირველობაში ჩამთვლელი ეკიპაჟი დაკარგა და თუმც ამავე მარკის მანქანებმა დაიჭირეს V-VI ადგილები, გუნდის მონაგარში მათი სარგო 3 ქულა არ ჩაითვალა.

მუხთალ XII მონაკვეთზე გავარდა მსოფლიოს ვიცეჩემპიონი, შოტლანდიელი მაკრეიც. წინადღით იგი კლდეს შეასკდა, მაგრამ მანქანა მცირედ დაუზიანდა. შაბათს სკოტი ელექტრონიკამ დაალალატა. საინსი ასპარეზობის ბოლო დღის წინ 1.38-ით ჩამორჩებოდა ლიდერ მაკინენს და ოდენ 15 წამით — მეორეადგილოსან ფინელ კანკუნენს, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი რომაა.

კვირას საგულისხმო ბევრი არაფერი მომხდარა. მაკინენი კარლსტადში მშვიდობით მიბრუნდა და კარიერის მე-11 რალი მოიგო. მისი გამარჯვება ფინელ მძღოლთათვის საიუბილეო, მეასე (!) იყო. რაც შეეხება საინსს, მან ბოლოსწინა მონაკვეთზე გადაუსწრო კანკუნენს და ზედმეტი ორი ქულა მიითვალა.

თენგიზ არტამონოვი

**მსოფლიო პირველობის II რალი**

**46-ე შვედეთი**

6-8.02. კარლსტადი — ბურლენგე

19 (8, 6, 5) სპეც-მონაკვეთი

1. ტომი მაკინენი (ფინეთი, მიცუბიში) 3 საათი: 32 წუთი. 51 წამი; 2. კარლოს საინსი (ესპანეთი, ტოიოტა) ჩამორჩა 52 წამით; 3. იუპა კანკუნენი (ფინეთი, ფორდი) .59; 4. კენეთ ერიკსონი (შვედეთი, სუბარუ) 2.32; 5. მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, ტოიოტა) 3.30; 6. დიდიე ორიოლი (საფრანგეთი, ტოიოტა) 4.36

**მონაგარი**

პირადი: საინსი 16 ქულა; მაკინენი და კანკუნენი 10; კოლინ მაკრეი (ბრიტანეთი, სუბარუ) 4; პიერო ლიატი (იტალია, სუბარუ) და ერიკსონი 3

გუნდური: ტოიოტა 16 ქულა; მიცუბიში 12; ფორდი 11; სუბარუ 10

**მსოფლიო პირველობის სხვა რალები**

| | | |
|---|---|---|
| III | 27.02-02.03 | საფარი (კენია) |
| IV | 23.03-25.03 | პორტუგალია |
| V | 20.04-22.04 | კატალონია |
| VI | 04.05-06.05 | კორსიკა |
| VII | 21.05-23.05 | არგენტინა |
| VIII | 07.06-09.06 | აკროპოლისი (საბერძნეთი) |
| IX | 26.07-28.07 | ახალი ზელანდია |
| X | 21.08-23.08 | ფინეთი |
| XI | 18.09-20.09 | ინდონეზია |
| XII | 12.10-14.10 | სან-რემო (იტალია) |
| XIII | 06.11-08.11 | ავსტრალია |
| XIV | 21.11-24.11 | სამეფო ავტოკლუბი (ბრიტანეთი) |



**დუბაის ღია პირველობა. არაბთა გაერთიანებული საამიროები. ტარდება ჰარდზე. საპრიზო ფონდი 1 მილიონი $**

ავსტრალიის ახლახან დამთავრებული პირველობის ფინალისტს მარსელო რიოსს აეროპორტში მისვლის დროსლა გაახსენდა, პასპორტი შინ რომ დარჩა და ფლორიდიდან დუბაიში გადაფრენა შაბათის ნაცვლად კვირას, გვიან ღამითღა მოახერხა. ამან კი ის გამოიწვია, რომ მილიონიან ტურნირზე მეორედ განთესილი ჩილელი აეროპორტიდან პირდაპირ კორტზე მივიდა და ახალზელანდიელ ბრეტ სტივენთან შეხვედრის წინ ვარჯიში კი არა, ხეირიანად სულის მოთქმაც ვერ მოასწრო. სტივენმა, რომელიც კლასიფიკაციაში მსოფლიოს მეხუთე ჩოგან რიოსზე 45 საფეხურით დაბლა დგას, მეტოქეს გონს მოსვლის საშუალება არ მისცა და თავიდანვე მედგრად შეუტია, ჩილელისთვის მომგებიან გათამაშებას უკანა ხაზზე თავი აარიდა და ქულების უმეტესობა ბადესთან მოიპოვა. რიოსი მაშინღა გამოფხიზლდა, როცა ახალზელანდიელი მეორე სეტში ორმაგი ბრეიკით 3:0 დაწინაურდა და ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა, მაგრამ მეტი ველარ შეძლო (დამქანცველმა მოგზაურობამ ენერგია სულ გამომაცალაო) და 3:6, 3:6 დამარცხდა. მეორედ განთესილს უკან მეხუთე — სერხი ბრუგერაც მიჰყვა, რომელსაც ზუსტად იგივე ანგარიშით — 6:3, 6:3 შერეკილმა ამერიკელმა ჯეფ ტარანგომ მოუგო. ამ უკანასკნელმა მატჩის შემდეგ განაცხადა, ბრუგერასთვის გათამაშება სამი-ოთხი დარტყმის შემდეგ იწყება, ამიტომ მანამდე თუ შეეცდები საქმის მოთავებას, ველარაფერს გააწყობსო. შესანიშნავად ჩაატარა პირველი წრის მატჩი მსოფლიო ჩოგბურთის ვეტერანმა ბორის ბეკერმა, რომელმაც არცთუ სუსტი მეტოქე — ბრიტი ტიმ ჰენმანი ზუსტი მიღებებით აიკლო, საკუთარ მოწოდებაზე ექვსი ქულა დაუთმო, მეორე სეტში — არც ერთი გეიმი და აგერ უკვე სამი წელია იმედისმომცემის იარლიყს ვერგაცდენილ ინგლისელს დიდი ჩოგბურთის 67-წუთიანი გაკვეთილი ჩაუტარა. „აღარ მინდა 11 თვის განმავლობაში მოგზაურობა, ოჯახი ჩემთვის გაცილებით მნიშვნელოვანი გახდა. ახლა ჩემი მიზანი ჩოგბურთით სიამოვნების მიღება, აქამდე მოუნახულებელი ადგილების დათვალიერება და იმედია, ისეთი თამაშის ჩვენებაა, ამ საღამოს რომ გამომივიდა" — განაცხადა 30 წლის გერმანელმა, რომელიც ასეთი დონის შენარჩუნების შემთხვევაში ტურნირებზე გამოსვლას 1999 წელსაც აპირებს.

# ანდრე აღარ ყალთაბანდობს



ანდრე აგასი

გუშინ ტურნირში კიდევ ორი განთესილი ჩაება, ორივემ წააგო და შეთქმულებივით მარცხი გადატვირთულ კალენდარს დააბრალეს. „ხორვატიის ღია პირველობის ფინალმა ისე დამღალა, ვარჯიშის თავიც არ მქონდა" — განაცხადა გორან ივანიშევიჩმა (8), რომელიც საუკეთესოთა ოცეულიდან ახლახანს გავარდნილ კარლოს მოიას მასთან 3:6, 3:6 წაგების შემდეგ ალბათ თავადაც უკან მიჰყვება, როდესაც მომავალ კვირას შარშან ამავე ტურნირის ფინალში გასვლისთვის მოპოვებული ქულები ჩამოაკლდება. „მარსელის ფინალის შემდეგ ძალების აღდგენის დრო აღარ მქონდა" — იმართლა თავი მესამედ განთესილმა რუსმა ევგენი კაფელნიკოვმა, რომელმაც მაროკოელ ჰიშამ არაზისთან სამარცხვინო მარცხი იწვნია 2:6, 1:6.

პირველი წრე: ნიკოლას კიფერი (გერმანია) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) 6:1, 1:6, 6:3; იონას ბიორკმანი (1, შვედეთი) — დევიდ ნეინკინი (სამხრეთ აფრიკა) 6:1, 6:3; ალბერტო ბერასატეგი (ესპანეთი) — ალექსანდრ კიტინოვი (მაკედონია) 6:1, 6:3; ფელიქს მანტია (6, ესპანეთი) — ქარიმ ალამი (მაროკო) 6:4, 6:2; ტომას მუსტერი (7, ავსტრია) — სენდონ სტოლი (ავსტრალია) 6:3, 6:7 (4:7), 6:4; უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკა) — ხავიერ სანჩესი (ესპანეთი) 6:7 (3:7), 6:3, 7:5; ალექს კორეჩა (4, ესპანეთი) — ხულიან ალონსო (ესპანეთი) 6:1, 6:2; მაგნუს ნორმანი (შვედეთი) — ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 6:2, 4:6, 6:3.

**სან ხოსე. კალიფორნია. „სიბეიზ ოუფენ". ტარდება ჰარდზე დარბაზში. საპრიზო ფონდი 345 ათასი $**

სან ხოსეს ტურნირის საპრიზო ფონდი სულ 345 ათასი დოლარია, მაგრამ მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელები არასოდეს იზარებენ იქ ჩასვლას. ამ ერთგულების მიზეზი კი ის არის, რომ „სიბეიზ ოუფენის" ორგანიზატორები მთელ საპრიზო ფონდზე ორჯერ მეტ თანხას ჩოგბურთელების პირადად მიწვევას ახარჯებენ — შარშან მათ სამპრასს, აგასისა და ჩანგს ერთად 800 ათასი დოლარი გადაუხადეს. ეს სამეული სან ხოსეში წელსაც გამოცხადდა, ჯიბეგასქელებულთა მარაქას კი ამჯერად როლან გაროსის ჩემპიონი გუსტავო კურტენიც შეემატა. ბრაზილიელმა, რომელმაც იქნებ ვერ მიცნონო, ფანატებისგან თავის დასაცავად თმები მოკლედ შეიჭრა და ულვაშები მოიზარდა, უიმბლდონის პირველ წრეში მარცხისთვის ამერიკელ ჯასტინ გიმელსტობზე იძია შური 7:6 (7:5), 4:6, 6:1. მისი მეტოქე მეორე წრეში ანდრე აგასი იქნება, რომელმაც 19 წლის ესპანელი ალბერტო მარტინი გაანადგურა 6:2, 6:2 და მატჩის შემდეგ განაცხადა, შარშანდელივით კი არ ვყალთაბანდობ, ალმავლობის გზაზე მართლა ვდგავარ, ყველაფერი კარგად მიდისო.

პირველი წრე: პიტ სამპრასი (1, აშშ) — ჯონათან სტარკი (აშშ), 6:3, 6:4; ტოდ მარტინი (აშშ) — ტოდ ვუდბრიჯი (5, ავსტრალია) 7:5, 6:4; ტომას ნიდალი (შვედეთი) — რიჩარდ ფრომბერგი (6, ავსტრალია) 6:7 (5:7), 6:2, 6:4; მარკ ვუდფორდი (8, ავსტრალია) — უეინ ბლექი (ზიმბაბვე) 6:7 (6:8), 6:2, 6:4; ტომი ჰაასი (7, გერმანია) — ხუან ალბერტ ვილოკა (ესპანეთი) 6:1, 6:4; მაიკლ ჩანგი (2, აშშ) — მარსელო კრაკა (გერმანია) 6:2, 6:4

მშენებლობა დიზაინი რეკლამა

აკაცია Acacia

ჰორიზონტალური და ვერტიკალური ჟალუზები

დამცავი ჟალუზები

მარკიზები

ფასები გაგაკვირვებთ

ყაზბეგის 42 ტელ 375281 294840

e-mail dato@acacia.postnet.ge

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი თამაზ მიგრიაული

ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი

სარედაქციო კოლეგია: ილია ბაბუნაშვილი, ვახტანგ ბზიკაძე, ზაალ გიგინეიშვილი, ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება: ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება: გიო ახვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი

კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი: ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29